


# საქართველოს რესპუბლიკა

**გამოცემის 81-100 წელი**



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბივ ბეჭდუნი სიფყაა, ცუდილებით და ჭბბბბით ბუბბ-თის გაცანა ყველა უჯარბისბბბაჟ უსბბბაგლუსია.

სამშაბათი, 26 ივნისი. 2018 წ. №130 (8531),

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.



**ურბანული ცოდვა-მადლი**  
**მამუკა ხალუქაძე: თბილისი 4**  
**ბანაშენიანების საზღვრებში რასიონალურად უნდა განვითარდეს!**

**პროკრა მზად უნდა იყოს აშშ-ის საპასუხო ზომებისთვის**

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ აშშ მზადაა შემოიღოს მკაცრი საპასუხო ზომები სავაჭრო ბარიერებზე ევროპის რიგ ქვეყნებთან მიმართებაში ამერიკული საქონლის იმპორტისთვის. „აშშ მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ, რომლებმაც შემოიღეს საქონელზე ხელოვნური სავაჭრო ბარიერები და გადასახადები, რომლებიც შემოდიან მათ ქვეყანაში, მოხსნან ეს ბარიერი და გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეეჯახებიან დიდ, საპასუხო ზომებს აშშ-ის მხრიდან“, – წერს ტრამპი „Twitter“-ზე. მან აღნიშნა, რომ „ვაჭრობა სამართლიანი უნდა იყოს“ და არ უნდა დაემსგავსოს „ცალმხრივ მოძრაობას ქუჩაში“. გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტი დაიმუქრა, რომ დაანესება 20%-იან გადასახადებს ყველა ტიპის ავტომანქანაზე, რომლებიც შემოდის აშშ-ში ევროკავშირიდან. **ცნობისთვის, აშშ-ში მარტის ბოლოს შემოიღეს ფოლაზე და ალუმინზე 25% და 10% გადასახადები.**



**სომხეთში ექსპრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ძმა ალექსანდრე სარგსიანი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს.**

ის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. სამართალდამცავები მას რამდენიმე დღის წინათ გადასახადების გადაუხდელობას ედავებოდნენ

**BLUE ORIGIN-ი კოსმოსური ტურიტიზმისთვის ბილეთების გაყიდვას იწყებს**

ავიაკოსმოსური კომპანია Blue Origin-ი 2019 წლიდან კოსმოსში წამსვლელი ტურისტებისათვის ბილეთების რეალიზებას იწყებს. ავიაკოსმოსური კომპანია Blue Origin ძირითადად სუბორბიტულ კოსმოსური ტურიზმის განვითარებაზეა ორიენტირებული. კომპანია უკვე რამდენიმე წელია, New Shepard-ის ცდებს ახორციელებს, რათა კაფსულამ მგზავრების ტრანსპორტირება უზორობლემოდ განახორციელოს. კომპანიას ვრცელები ჯერ კიდევ 2018 წელს უნდა დაენყო, თუმცა რიგის მიზეზების გამო პროცესის დაწყებამ დროში გადაინია. თუმცა კონკრეტულად როდის დაიწყება ვრცელები ამ დროისათვის, კიდევ არ კონკრეტდება. ამ ეტაპზე უცნობია ისიც, თუ რა ელირება ბილეთი.

**ვაჟა ბერიძე: ნარუმატბელი მთავრობების ყოლის ლიმიტი ამოგვეწერა!**



**ნუზარ ფოფხაძე:**  
**პარკელის ბასავლუბად ერთ ფაქტს ბავისსენებ...**

**ია საკანდელიძე: 5**  
**ბვეუველუბა რბმე?..**

**SOS! – ფაროსანასთან ერთად ხალხსაც ვსოცავთ?! 2**



**ნითელი ნუსხით დატყული სახეობების ყიდვა-გაყიდვა და დატყვევება ყოვლად დაუშვებელია!**

სამართლებლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გარეული ცხოველებისა და ფრინველების უკანონო ყიდვა-გაყიდვისა და მათი დატყვევების ფაქტების გამოვლენის მიზნით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდგომ, საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა (ფრინველთა) მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გა-

ყიდვა ან დატყვევება, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით. რაც შეეხება იმ სახეობებს, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ – მათი უკანონოდ დატყვევება, უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტით, მისი დერივატით ან მისგან გამოშვებული პროდუქტით ვაჭრობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოქმედებს ცხელი ხაზი – 153, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, გააკეთონ შეტყობინება ამ და სხვა ტიპის გარემოსდაცვითი დანაშაულის შესახებ და მიიღონ ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებზე.



**ბათუმში მებლავურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებითა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ჩართულობით 25 ივნისი ბათუმში 8 წელია, აღინიშნება. ეს დღე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO)-მ დაანსა და მას მსოფლიო 2011 წლიდან აღნიშნავს.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან სადღესასწაულო ფორ-

# მამუკა ბახტაძე მეზღვაურთა საერთაშორისო დღის ღონისძიებას დაესწრო

მებში გამონყობილმა საზღვაო აკადემიის სტუდენტებმა ორკესტრის თანხლებით საზეიმო მსვლელობა გამართეს. საზეიმო ღონისძიებები ბათუმის მეთაურ ნავმისადგომზე გაიხსნა.

მებლავურებს, სტუდენტებსა და შეკრებულ სტუმრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ

პატარაძემ და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა პროფესიული დღე მიულოცეს.

გაიმართა საზღვაო სფეროში შეტანილი ღვაწლისთვის დაჯილდოების ცერემონია.

ღონისძიების დასასრულს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კუთვნილი გემი „კადეტი“ პირველ საერთაშორისო

ნაოსნობაში გაემგზავრა.

2018 წელს, აღნიშნული გემი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას უსასყიდლოდ გადასცა. მცურავი საშუალება აღჭურვილია ყველა საჭირო თანამედროვე სანაოსნო სისტემითა და ტექნიკური საშუალებით. 2018 წლიდან საზღვაო



აკადემიის სტუდენტებს უკვე შესაძლებლობა აქვთ, საზღვაო პრაქტიკა უშუალოდ აღნიშნულ გემზე გაიარონ.

## მმართველ გუნდში ყველაზე მეტი ჯიხვბა განათლება-კულტურის სამინისტროების უპრნუხამ გამოინუი

ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით ჭიჭინაძემ, ყურნალისტებთან მთავრობის სტრუქტურული ცვლილებების საკითხზე კომენტარებისას გააკეთა.

მისივე თქმით, „სტრუქტურული ცვლილებებთან დაკავშირებით შეთანხმება უკვე მიღწულია და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ითქვამს“. აწუ, გაერთიანების იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროები, სპორტის, კულტურისა და განათლების სამინისტროები, დევილთა და განსახლების სამინისტრო კი შერიგების და სამოქალაქო თანსწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შეუერთდება. თუცა, მისივე თქმით, მმართველ გუნდში ყველაზე მეტი აზრთ სხვადასხვაობა განათლება-კულტურის სამინისტროების გაერთიანებასთან დაკავშირებით არსებობდა.



## იუსტიციის უმაღლესა საბჭომ შვილი მოსამართლე უვადოდ გაამნეს

იუსტიციის უმაღლესა საბჭომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული შვილი მოსამართლე უვადოდ გაამნეს.

კენჭისყრის პროცედურაში საბჭოს 13 წევრი მონაწილეობდა.

უვადოდ გამწესებული მოსამართლეები არიან:

**ნანა აფციაური** — საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია, 12 ხმით, ერთი წინააღმდეგი.

**იკა კულუაშვილი** — საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინა სასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე, 13 ხმით. ამავე პოზიციაზე, **დავით კურტიანი** 13 ხმით გამწესდა.



**ქეთევან მინაშვილი** — საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია, 12 ხმა ერთის წინააღმდეგ.

**თამარ ოძროპირიძე** — საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია, 13 ხმით.

**ანა ჩხეტიანი** — თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია, 13 ხმით.

**დავით წერეთელი** — საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია, 12 ხმით.

გუშინ კენჭისყრის პროცედურა იმ მოსამართლეებში გაიარეს, რომლებიც თანამდებობაზე 2015 წლის პირველ აგვისტოდან და სამწლიანი ვადით ეწვევებიან. მათ გასაუბრება, საბჭოს წევრებთან გასულ სხდომაზე გაიარეს.

საბჭომ გადაწყვეტილება ღია კენჭისყრით მიიღო.

## SOS! — ფაროსანასთან ერთად ხალხსაც ვხობავთ?!

საპარტიველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აგრეცელებენ ცნობებს დასავლეთ საქართველოში (გურჯისტან და იმერეთში) ადამიანების გარდაცვალების შესახებ, რომლის მიზეზადაც გარდაცვლილთა ოჯახის წევრები და ახლობლები ფაროსანას წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დარიგებული (სავარაუდოდ, ბიფენტრინის შემცველი) პრეპარატების გამოყენებას ასახელებენ.

პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობაზე მიყვანის მუხლით. ეს გულისშემძვრელი ამბავი გვაიძულებს, კვლავაც დაუბრუნდეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ფაროსანასთან ბრძოლის წარმოებულ კამპანიაში, მე-2 კლასის ტოქსიკურობის პრეპარატების გამოყენებით, ვინაიდან ცოცხალი გარემოსადმი და მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი მიყენებულ ზარალთან ერთად საქმე ეხება უკვე კონკრეტული ადამიანების სიცოცხლეს.

შეტყობინებებს ადამიანების პრეპარატ „ზონდერის“ არასწორი გამოყენებით გამოწვეული დაღუპვის შესახებ ადრევე ვიღებდით მოსახლეობისგან, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფალთა მიერ შეცდომაში შეყვანებით თუ დაშინებული ადამიანები არ გვანფიქრებდნენ დეტალურ ინფორმაციას მომხდარის შესახებ, რომელიც საკმარისი იქნებოდა მისი სარწმუნო არგუმენტად გამოსაყენებლად.

ამის მიუხედავად, ჩვენ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას და მოსახლეობას, რომ სამინისტროს და სააგენტოს მიერ შემუშავებული და საჯაროდ გამოქვეყნებული ინსტრუქციები არ უნდა არასაკმარისია, ხოლო პრეპარატების შერჩევის და გამოყენების მათ მიერ და-

# რატომ ვნაშეობთ ადამიანებს,



## ანუ კრიმინალი სისულელის ნიღაბკვევ!

ნერგილი პრაქტიკა პრინციპულად არასწორია, რამაც მალალი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მონამველა და სიკვდილი!

ამჯერად წერილში არაფერს ვიტყვით ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესაძენად ჩატარებულ ტენდერებზე და მათ კორიფციულ ბუნებაზე. აუცილებლად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ახალი ფაქტები, რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ადასტურებს სამინისტროსა და მისი სამსახურების ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობას, დანაშაულებრივ გულგრილობას და უპასუხისმგებლობას, რამაც უახლოეს პერიოდში შეიძლება კიდევ უფრო დიდ უბედურებამდე მიგვიყვანოს. დავინყებთ იმით, რომ უკვე ყბადაღებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ სურსათის ეროვნული სა-

აგენტო ზუსტად მიყვებოდა ცნობილი ამერიკელი სპეციალისტების გრეგ კრავიუკის და ტრეისი ლესკის რეკომენდაციებს, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ან. მარტში „USAID“-ის ეგიდით გამართულ სემინარზე გრეგ კრავიუკმა საჯაროდ დაუდასტურა პროფესორ არჩილ ჭირაქაძეს მოხსენებაში მოყვანილი ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც სამწუნაროდ, ვერაგზობთ ვერ გაითავისეს სამინისტროს და სააგენტოს მესვეურებმა:

**1. არ არსებობს ერთი ან თუნდაც ორი ბიფენტრინის შემცველი პრეპარატი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასამუშავებლად და ყველა გარემოში (ანუ ველად, სათბურებში, სათბურებს გარეთ, საკარმიდამო ნაკვეთებში, ეზოებში, სახლებსა და სარდაფებში, პარკებსა და სპორტულ მოედნებზე და ა. შ.). აუცილებელია სხვადასხვა სახის პრეპარატის გამოყენება და მათი განსხვავებული დოზირება კონკრეტული სამიზნე ობიექტის და გამოყენების პირობების გათვალისწინებით. ბიფენტრინის შემცველი**

**ნებისმიერი პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევა ან მისი არასწორი გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ფედერალური კანონის დარღვევა.**

**2. პრეპარატის გაფრქვევა უნდა ხდებოდეს მიზანიმართულად ისე, რომ მისი უმეტესი ნაწილი მოხვდეს სამიზნე მცენარეებზე და მხოლოდ მცირედი ნაწილი — ნიადაგზე.**

პირად წერილში ბატონმა გრეგ კრავიუკმა აგრეთვე აღნიშნა, რომ არ იცნობს პრეპარატ „ზონდერს“ (რომელიც გამოყენებული იყო საქართველოში 2017 წელს და ახლაც გამოიყენება მოსახლეობის მიერ, როგორც ჩანს — საფალალო შედეგებით). „ზონდერს“ და პრეპარატ „ინსაკარს“ (რომლის გამოყენება წელს სამეგრელოში, გურჯისტანში და იმერეთში დაიწყო) ამ მიზეზით ის ვერ მისცემდა საქართველოში ამ პრეპარატების გამოყენების რეკომენდაციას. რაც შეეხება დელტამეტრინის შემცველ პრეპარატს, რომელსაც აგრეთვე წელს იყენებენ პირველად საქართველოში, იგი არ არის რეგისტრირებული აშშ-ში და, ამდენად, ბატონ კრავიუკს მას-

თან საქმე არასდროს ჰქონია. მნიშვნელოვანია ბატონ კრავიუკის მიერ დადასტურებული ინფორმაცია, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესანამლად საერთო წესით დაშვებული ბიფენტრინის მხოლოდ სამი პრეპარატის გამოყენება, რომელთა შორისაც, რაღა თქმა უნდა, არ არის არც „ინსაკარი“ და არც „ზონდერი“.

ასევე უადრესად მნიშვნელოვანია საქართველოს, ბელარუსის და უკრაინის სამეცნიერო დანესებულებებში მოპოვებული და ჩვენს ხელთ არსებული ექსპერიმენტული მონაცემები, რომ „ზონდერის“ და „ინსაკარის“ შემადგენლობაში არის სხვა ტოქსიკური ნივთიერებების (მაგალითად, 1,2,4-ტრიმეთილბენზინი) დიდი რაოდენობა (80%-მდე).

ტრიმეთილბენზინს გააჩნია აშკარად გამოხატული ნეიროტოქსიკური მოქმედება და სუნთქვის სისტემაზე ზემოქმედების ეფექტი (მაგალითად, ასთმური მოვლენების გამომწვევია). აქტიურად მიმდინარეობს ამ და ზემოხსენებული პრეპარატების შემადგენლობაში არსებული სხვა ნივთიერებების მიერ გამოწვეული ზემოქმედების კვლევა ჰემატოლოგიურ, რეპროდუქტიულ, ენდოკრინულ, ციტოლოგიურ და კანცეროგენულ ქრეულში.

უახლოეს პერიოდში ჩვენი განსაკუთრებით ამა კვლევის შედეგებს და მათ საფუძველზე საპარტიველოს მითავრობისგან მოვითხოვთ, განვიხილოს საპარტიველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-საეკონომიკური ცენტრის მიმდინარე წარუმატებელი კამპანიის შედეგების გამო.

**ააბაბა კოლუაშვილი, პროფესორი.**  
**არჩილ ჭირაქაძე, პროფესორი**

ყველა თავისი არხით ზოგავს!

პარალელს გასაქვად ერთ ფაქტს გაიხსენა...

ძალიან არ მინდა, მონანილეობა მივიღო იმ „ნიოკში“, რაც მოპყვა ბატონი გიორგი შენგელაიას „ცნობილ“ გამოსვლას. დღესაც დაუმატა მორიგი „შედეგები“ https://www.facebook.com/rustavi2/videos/2028447357199339/.

ასეარა, ყველაფერი არ არის რიგზე და „რალაცები“ დალაპა „დანისი სამეფოში“... მტკინეულად განვიცდი ამ ვითარებას, რამეთუ, ვიმეორებ არაერთგზის ნათქვამს: გიორგი შენგელაია არ არის ერთი უბრალო, ანგარისმარგასანვეი საშუალო ხელეოვანი. მის ამ გამოსვლებს პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს, თანაც ახალთაობებისთვის სამაგალითო, საფიქრალ-სანალიზო ხდება...

უღამოა: ამ უნიჭიერეს კაცს, უაღრესად საინტერესო, შინარსიან და საამაყო ცხოვრებაგატარებულს, რა თქმა უნდა, აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, გამოიყენოს ეს უფლება, გამოთქვას და აგრძელებს კიდევ ზოგისთვის მიუღებელ, ზოგისთვის ალტაცეზამომგვრელი მოსაზრებების „ფრქვევას“. თანაც ისე, რომ გულს სტკენს არა მარტო ყველაზე ახლობლებს, არამედ მისი ნიჭის დამფასებელ უამრავ ადამიანს.

მას უკიწინებენ მორალისტები, რომლებსაც აქვთ თავიანთი კრიტიკიუმიები. მათაც აქვთ ამის უფლება და იყენებენ კიდევ უკიდევანოდ...

რა მწნათ? არადა, არ არის ეს ჩვეულებრივი, რიგითი, თვალდაყურასარიდებელი მოვლენა, ვითარება... არც ის არის გამოსავალი, ყველაფერი გაჯამარტივით და დავაბრალოთ მავანის ასაკს... ან შურს, ბოლმას, უმადურობას და კიდევ არაერთ სხვა „ახსნის გასალეღს“.

ეგებ ღირდეს მოვიშველიოთ ერთი მრავლისმეტყველი ინტლისური მაცხიმა და შევეშვათ ამ „თემას“: ყველა სჯის თავისი გარ-



ყვნილების საზომით (ქართული ხალხური შესატყვისის სიბრძნე: ყველა თავისი არხით ზომავს)... ჰოდა, მოდით, ამ მოვლენას – შენგელაიას საჯარო გამოსვლებს და მის „მსაჯულთა“ ვიშვიშს შევხედოთ სწორედ ამ მაცხიმის პრიზმით.


თუმცა, პირადად მე პარალელის გასაველებად ერთ ფაქტს გავისხენებ, რომლის მსგავსი ჩვენს უახლეს ისტორიაში ბევრი არ მოიპოვება:

თავის დროზე ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა საჯაროდ (!) უარი (!) განაცხადა პრეზიდენტ შევარდნაძისგან მიეღო „ღირსების ორდენი“ და მასთან დაკავშირებული პრივილეგიები. მიახლოებით ვისენებ მოტივაციას: ვერ მივიღებო ჯილდოს იმ ქვეყნის ხელისუფლებისგან, რომელიც ადამიანებს აცხოვრებს ისეთ პირობებში, რომლის დროსაც ღირსებაზე საუბარი ღიმილის მომგვრელია.

ეს იყო ზნეობრივი ნაბიჯი! უფრო მეტიც, ეს იყო ზნეობრივი გამირობის ტოლფასი ნაბიჯი, რომლითაც კრისტალური სინმინდით ცნობილმა მსახიობმა და მოქალაქემ ნებსით თუ უნებლიეთ სილა გაანწა არსებულ რეჟიმს.

მაშინაც გაიყო საზოგადოებრივი აზრი ამ ნაბიჯის საფუძვლიანობასა და მართებულობის თაობაზე, მაგრამ პირადად ჩემთვის ბატონი ნოდარის ეს გადაწყვეტილება და გამოხატვის ფორმა პირადი და მოქალაქეობრივი პოზიციის სამაგალითო, თვალნათელი გამოხატვა ვახლდათ. სხვათაშორის, შემდგომ, თავად მან, თავი აარიდა ტელევიკრანებზე, რადიოეთერსა და ბექცივითი მედიის ფურცლებზე „სეირნობას“ და „კეკლუცობას“, გულზე ხელის ბრაგუნით თავმოწონებებს, ნახეთ ეს რა მაგარი „ბიჭი“ ვარო... გავაგრძელო?

ნუგზარ ფოფხაძე



ვაჟა ბრიქძე: ნარუმატებალი მთაპრობების ყოლის ღიმიტი ამოგვესურა!

პოლიტიკურ არანაზა ბახტაძის შემოყვანებამ უნდა იცოდნენ – ერთ დღეს რომ ინიციატივას წამოაყენებს, მეორე დღეს სანინაადმდეგო არ უნდა თქვა

საპარტიველოში თავისუფლების მოპოვების დღიდან უკვე მერამდენედ, ხელისუფლებისადმი გამოცხადებული ნდობა და იმედი სიღარიბის დაძლევის მორიგ შეტევაში ტრანსფორმირდა. ეს კი უახლოესი ისტორიის გათვალისწინებით, სშირად, ხელისუფლებების გედის სიმღერის პირველ აკორდადაც მიიჩნევა – ამჯერად მაინც შეძლებს თუ არა, ახალი მთავრობა შექმნილი პრობლემების შემსუბუქებას და ამით ნდობის მანდატის განახლებას, სულ რამდენიმე თვეში გამიჩნდება – მიმდინარე გამონევევებზე ექსპერტი ვაჟა ბრიქძე გვესაუბრება.

ვაჟა ბრიქძე: ხელისუფლება ზოგჯერ ასეთ გადწყვეტილებასაც იღებს – მთავრობის ცვლილება მოსალოდნელიც იყო, რადგან „ქართულ ოცნებას“ აქვს პრობლემები, ეს გამოიხატა საპროტესტო გამოსვლებშიც და მოახლოებული ორი არჩევნების ფაქტორის გათვალისწინებით, შედეგობაში მიქვს საპრეზიდენტო, შემდეგ საპარლამენტო არჩევნები... რალაც უნდა გაკეთებულიყო.

როდესაც თანდათანობით დაბლა იწევს მმართველი პარტიის რეიტინგი, ამაზე რალაც პასუხია საჭირო. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილმა და სახელისუფლებო გუნდმა ეს კარგად გაიზარა და მიიღო, ჩემი აზრით, დროული გადაწყვეტილება მთავრობის შეცვლის შესახებ.

მეორე ფაქტორიც არსებობს. უფრო კონკეტუალური და მსოფლმხედველობრივი – ქვეყანას ჰყავდა მემარჯვენე ხედვების პრემიერი პრობიზნეს და პროსაბანკო მისწრაფებებით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში სოციალური პრობლემები სულ უფრო მწვავედობდა და ამასაც სჭირდებოდა პასუხი. ნინაალმდეგ შემთხვევაში, ეს საპროტესტო აქციები, შეიძლება, უფრო მწვავე ფორმით განმეორდეს, რაც მმართველი გუნდისთვის არ იქნება სასარგებლო.

გარდა ამისა, ჩანს, რომ „ქართული ოც-

ნება“ 2020 წლის შემდეგაც აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას და ამას ვერ უზრუნველყოფენ მხოლოდ თავიანთი ადამიანური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსის მაქსიმალური გამოყენებითაც კი. სოციალური პრობლემები მწვავეა და საჭიროა მისი მოვლა თუ არა, უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირება მაინც...

არენაზე გამოვიდა ახალგაზრდა, ეროდირებული და ნიჭიერი ადამიანი, რომლის ნაკლიც ის ვახლავთ, რომ არ აქვს მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება, მაგრამ აქვს სურვილი, რწმენა და ხედვები, რაც მისგან ნამოყვებულ რამდენიმე ინიციატივაში გამოიხატა, რომელიც პირველ რიგში, ხალხის სავალალო მდგომარეობის შემსუბუქებას ისახავდა მიზანად.

მისი ინიციატივები, როგორც ჩანს, დაემთხვა ხელისუფლების მხრიდან რალაცის შეცვლის სურვილს, რადგან, როდესაც ქვეყანაში 600 ათას ადამიანს საბანკო პრობლემები აქვს და მორიგი 600 ათასი ახალი რეგულაციების შედეგად ძვირ ფულსაც კი ვერ იშოვის, კიდევ უფრო რთულდება ყველაფერი. არადა, კარგად იცით, რაც ხდება ბოლო წლების განმავლობაში – ადამიანები იღებდნენ ძვირ კრედიტს, მას ყოფდნენ ორ ან სამ ნაწილად, ერთით – ნინა

ვალებს ფარავდნენ, მეორით – მიმდინარე ხარჯებს, მესამით რალაც სხვა პრობლემას აგვარებდნენ და ა.შ.

თუმცა ეს პრობლემა არ დანყებულა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეს პრობლემა დადგა თავისუფლების მოპოვების შემდეგ სამეზობლო პოლიტიკისა და რეგიონული საფრთხეებიდან გამომდინარე სირთულეების გამო – ფაქტობრივად, წლებია, საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით მეზობელ ქვეყანასთან.

როდესაც 600 ათასი „გაშვეებული“ მოქალაქე გყავს და კიდევ მეტს არც ძვირი კრედიტის და არც მეტშემოსავლიანი სამუშაოს შოვნის პერსპექტივა არ გააჩნია, რთულია, ქვეყანას მემარჯვენე ხედვების პრემიერი მართავდეს. თანაც პრემიერი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არის განათლებული, გონიერი და ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, ქვეყნის პოლიტიკურ მილიერი მაინც ქვევ ვერ გახდება. მან დაინიშნო და დამთავრა, როგორც მენეჯერმა.

ამდენად, ეს ცვლილება აბსოლუტურად ლოგიკურია, მაგრამ საინტერესოა, რას ისახავს მიზნად და რამდენად თანმიმდევრული იქნება ახალი პრემიერი საქმეში.

ეს პრობლემები, დღეს – სავალო, გუშინ – სოციალური, წარმოიქმნა იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობა მრავალი წელია, ვერა და ვერ გახდა გადახდისუნარიანი. მეორე მხრივ, ყველა ხელისუფლება უცვლელად იმეორებს, რომ მან შექმნა ერთერთი ყველაზე ლიბერალური ბიზნესგარემო, ყველაზე დაბალი გადასახადები შემოიღო, ყველაზე ადვილია ბიზნესის დაწყება და ა.შ. საერთაშორისო კვლევებშიც საკმაოდ შთამბეჭდავი მიღწევები გვაქვს ხოლმე, მაგრამ როგორც ნორმალურ ქვეყანაში უნდა იყოს, მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ხდება ბიუჯეტის მთავარი დასაყრდენი და ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი. რაშია პრობლემა, თუ არა ხელისუფლების პოლიტიკაში?

ნბ. 8 გვ.



„ჩვენ ბეჭიღება სანარკოუმი, რომლებიც აღვიღებენ ანარკოუპენ პროდუქსიას და მოამარაგებენ აღვიღოპრიც ბაზარს“

ბათუმში შპს „ანთ ჯგუფის“ ახალი საწარმო გაიხსნა, რომელიც სასახურავე მასალებისა და თაბაშირ-მუყაოს ფილების პროფილებს აწარმოებს.

საწარმოს გახსნას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ჩერქეზიშვილი დაესწრნენ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის განცხადებით, ხელისუფლება ფოკუსირებულია, რათა ბიზნესპროექტები სხვადასხვა სექტორებში განხორციელდეს. მისი თქმით, სასტუმრო კომპლექსების მიმართულების განვითარების გარდა, გეჭირდება საწარმოები, რომელიც აწარმოებს, მათ შორის, სამშენებლო მასალებს.

შპს „ანთ გრუპი“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „ანარკოე საქართველოში“ ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადამფინანსებას სსიპ „ანარკოე საქართველოში“ განხორციელებს. პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 1186150 ლარს შეადგენს.

„პრაქტიკული შურნალისტიკის“ სკოლა დაიხუდა შურნალისტებისთვის

საბავშვო „პირველი რადიო“ და საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტი“ საქართველოს პრეზიდენტის სარწმუნო ფონდის დაფინანსებით, ასორციელებს პროექტს „პრაქტიკული შურნალისტიკა“ დამწყები შურნალისტებისთვის. პროექტის ფარგლებში უკვე გაიშარტა ორი ტრენინგკურსი. სწავლებაში მონაწილეობას იღებს 10 სტუდენტი შურნალისტიკის ფაკულტეტიდან და მათ პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას უტარებენ პროფესიონალი შურნალისტები და სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

ქართული მედიის ერთერთი მთავარი პრობლემა პრაქტიკული შურნალისტიკაა, რაც პროფესიონალ შურნალისტად ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. პრაქტიკული შურნალისტიკის სკოლის მიზანია, შურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს გაულრმაგოს ცოდნა შურნალისტიკის ყველა მიმართულებაში და გაიარონ პრაქტიკული კურსი. პროექტის ფარგლებში შურნალელი 10 სტუდენტი გაივლის პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას 10 თვის განმავლობაში. დამწყები შურნალისტები, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მიიღებენ ფართო პრაქტიკულ გამოცდილებას, შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ პრესკონფერენციებს, მოამზადონ ნიუსი/რეპორტაჟი, მოამზადონ კომენტარები რესპონდენტებთან. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს შურნალისტიკურ უნარჩევების ჩამოყალიბებას, მიმდინარე მოვლენების სწორ ანალიზს, შესწავლიან ნიუსმარკეტინგს და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მათ ექნებათ პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მედიასაშუალებებში დასაქმების თვალსაზრისით.



# მამუკა სალუქვაძე: თბილისი განაშენიანების სფეროში რასიონალურად უნდა განვითარდეს!

„სიტი ინსტიტუტ საქართველომ“ თბილისის მიწათ-სარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა დაასრულა და დედაქალაქის მერიას წარუდგინა. კალაძის უწყება დოკუმენტს რამდენიმე დღეში მიიღებს და დასამტკიცებლად საკრებულოს გადაუგზავნის. არსებული ინფორმაციით, მხრეებს შორის დოკუმენტზე კონსენსუსი მიღწეულია, რადგან

მასში ყველა შესწორება მერიის მოთხოვნით შევიდა. ამ თემაზე „საქართველოს რესპუბლიკა“ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელს, „სიტი ინსტიტუტის საქართველოს“ დირექტორს, ბატონ მამუკა სალუქვაძეს ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, გენერალური გეგმის კონტექსტში ყველაზე კრიტიკული უბნები სად გვაქვს?

– შემოტანილი გვაქვს არეალები, სადაც ბუნებრივი პირობებიდან, გეოლოგიური საფრთხეებიდან და რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე, განაშენიანება უნდა შეიზღუდოს. ჩვენს ძირითად რუკაზე და ტექსტობრივ მასალაშიც ეს ყველაფერი კვლევის სახით არის მოცემული. აღნიშნული ტერიტორიები მაქსიმალურად დეტალურად უნდა შევისწავლოთ და ნებართვები მხოლოდ ამის შემდეგ გავიცეს, თუკი ეს შესაძლებელია.

გვაქვს რთული რელიეფის მქონე მთიანი რაიონები, როგორცაა, მამა დავითი, თავორის მთა და სხვ. იცით, რომ თბილისი გარკვეულწილად ქვაბულშია და ასეთი უბნები მრავლად არის. მათი გეოლოგიური შემადგენლობაც ისეთია, რომ შეზღუდვებს, მათ შორის, საფუძვლიანად შესწავლას საჭიროებს.

მსგავსი შეზღუდვის საკითხი წინაჟვანიას ქუჩაზეც მითითებული გვქონდა. ძირითად რუკაზე ესეც არის და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს, სადა არის ამგვარი არეალები.

– კიდევ რომელ პრობლემურ ლოკაციებს გამოყოფთ?

– შინდისის მიმართულებით, დედაქალაქთან მრავლად შემოერთებულ ტერიტორიებს, სადაც დაცული სატყეო მიწებია, წყალდაცვითი ზონებია, რომლებზეც ასევე შეზღუდვები ვრცელდება. ამ ადგილებში განაშენიანება ან არ უნდა იყოს, ან პროცესი მცირე მასშტაბით წარმართოს.

– დღეს იქ რა ხდება?

– ბევრგან ნებართვები გაცემულია, ზოგი ძველია, ნაწილი შედარებით ახალი. არქიტექტურის სამსახურს ნებართვების გაცემის პროცესში იმეფობს, რომ ამგვარ ტერიტორიებს მაქსიმალურად ყურადღება მიექცის. რაზეც ნაბართვები უკვე გაცემულია, შეიძლება მშენებლობა დაწყებულიც არ არის. სადაც პროცესი მიმდინარეობს, უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ – გადახედონ გაცემულ ნებართვებს, დასკვნებს, რომელიც ამ ობიექტებს ხელში აქვთ, რადგან კაცმა არ იცის, ეს ყველაფერი რით შეიძლება დამთავრდეს, თუ კვლევა-შემოწმება ხარისხიანად გაკეთებული არ არის!

ამაზე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ, არქიტექტურის სამსახურს სათანადო ინფორმაცია მივანოდეთ.

– სადაც ინფრასტრუქტურა უკვე გამართულია, მანდ გამოსავალი რა შეიძლება იყოს?

– აქაც ყველაფერი გადასამოწმებელია. ამისთვის სპეციალური სამსახურები არსებობს და ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცნენ, რადგან დაზღვეული არ ვართ იმ უბედურებისგან, რაც თავის დროზე მოხდა – ვერეს, მზიურის ხეობას ვგულისხმობ. გასათვალისწინებელია, ეს კოლექტორებიც ხომ არ არის დაზიანებული ან გაჭედილი.

პროგნოზირებაც უნდა შეგვეძლოს, სტიქიის შემთხვევაში მოვლენები როგორ შეიძლება განვითარდეს. მერიას ამგვარი წინადადებები და რეკომენდაციებიც წარუდგინეთ.



– მთაწმინდის ბოლო შემთხვევისას რასთან გვაქვს საქმე?

– ფაქტია, რომ რაღაც წესრიგში ვერ არის. გადავრჩით, რომ ჩამოშლამ მუშები ან სხვა ვინმე არ დააზიანა. როგორც წესი, საყრდენი კედელი მაინც უნდა კეთდებოდეს. მით უმეტეს, ძალიან კარგად ჩანს, რომ იქ არამყარი ქანებია. ამას სკრუპულოზური შესწავლა საჭიროდება.

რამდენადაც ვიცი, მერია აღნიშნულ პრობლემას სწავლობს მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი მოხდა. მხოლოდ დოკუმენტების გადახედვა მნიშვნელოვანი არ არის, ისეც და ისევე, კარგი გეოლოგიური კვლევა უნდა გაკეთდეს.

– ვერეს ხეობასთან დაკავშირებით მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა რას ითვალისწინებს?

– რეკრეაციული ტერიტორია გვაქვს მონიშნული და, ბუნებრივია, ხეობაში მშენებლობას მაქსიმალურად ვწინააღმდეგებით, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ნებართვებია გაცემული.

ასევე, ვარაზისხევთან დაკავშირებითაც ძალიან ვუფრთხით მცირე მდინარეების ხეობებს და მათთვის ცალკე არეალები გვაქვს მონიშნული. კანონმდებლობიდან გამომდინარე, გარკვეული შეზღუდვებიც გვაქვს დადებული, რათა მშენებლობა მდინარეების კალაპოტში არ განხორციელდეს.

არადა, ბევრ ადგილას ასეთი მშენებლობა მიმდინარეობს, დახურული ობიექტებიც არის და მიუღებელი პროცესი ბევრგან წარმართა.

გენერალურ გეგმას შეუძლია, ეს კონკრეტული ადგილები მიანიშნოს, რეკომენდაციები გასცეს. ჩვენმა გეგმამ ასევე ბევრ ადგილას მოითხოვა, რომ მცირე მდინარეები გაიხსნას იმ ადგილებში, სადაც კი ეს შესაძლებელია. იქ ბუნებრივი და რეკრეაციული ლანდშაფტი იყოს, სადაც ადამიანებს დასვენების საშუალება ექნებათ.

თანავე, პირველივე სამ თვეში შევთავაზებთ.

ძალიან კარგია, თუ ამ გამწვანებულ ტერიტორიებისთვის პროექტები მომზადდება. ახლა, მათ შორის, დიდი ტყე-პარკზეც მიმდინარეობს სამზადისი, რომ პროექტის შესამუშავებლად კონკურსი გამოცხადდეს.

– სარკინიგზო ხაზებთან დაკავშირებით რას სთავაზობთ?

– ჩვენი პოზიცია ცნობილია – სამგზავრო სარკინიგზო ხაზის დატოვებასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, დამატებითი კვლევებია საჭირო.

სატვირთოს რაც შეეხება, ჩვენ ვამბობთ (მერიასთან შეთანხმებული ვართ), რომ ეს ყველა შემთხვევაში გადატანილი უნდა იქნეს. სად გადავა და როგორ გადავა, ამას კვლევები ანახვებს, რომელიც საქართველოს რკინიგზამ ან ზოგადად ხელისუფლებამ უნდა ჩაატაროს.

– საბაგირო ხაზებთან დაკავშირებით, რას უნდა ველოდოთ?

– 12 მარშრუტი დატანილი გვაქვს. აქედან კვლევის შედეგად 10 ხაზი ფრანგულმა კომპანიამ „სისტრა“ შესაძლებლად დასახა. აღნიშნულ წინადადებას ვეთანხმებით და ორი დავუმატებ, სადაც ეს შესაძლებლად მიგვაჩნია.

ასე რომ, საბაგიროები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

– მთლიანობაში, დედაქალაქი რა მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს?

– ოპტიმალურად და რაციონალურად ქალაქის განაშენიანების საზღვრებში, რადგან ძალიან ბევრი თავისუფალი ტერიტორიაა. ამაზე გამოთვლები და კვლევები გავაკეთეთ. ამ წუთში ეს სივრცე მთლიანად ეყოფა ქალაქის განვითარებას იმ პროგნოზის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობა 2030 წლისთვის დიდად არ იზრდება.

ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ქალაქის განაშენიანებული ნაწილის გარეთ ძალიან ფასეული ტერიტორიები შევიწარმოოთ და ისევე ურბანული ცოცვა, გადღაბუნა არ მოხდეს. ისე არა, რომ შემდეგ ამისთვის იყოს საჭირო დამატებითი კომუნიკაციები და ა.შ., რაც ქალაქს ძალიან ძვირი დაუჯდება.

– გეგმის მიღება რა ეტაპზეა?

– ველოდებით, რომ ძალიან მალე მიიღებენ და საკრებულოს გადაუგზავნიან.

ესაუბრა  
შავლეზ პირიძე





მტრობასა და მეგობრობაზე სტრასბურგი მომაგონდა (ანდა რა მოგონება უნდაა). სასამართლოში რამდენჯერმე გაიუღერა, რომ საქართველოს მხარეზე პირველმა დაიწყო აგვისტოს ომი. დავიჯერო, ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა მეგობარ დასაველეთთან შეთანხმების გარეშე დაიწყო იერიში? და თუ შეთანხმება შედგა, სად იყო მათი მეგობრული ხელი, სანამ ნახევარი ქართული არ დაგვკარგეთ და ლამის თბილისამდე მავთულხლართებში გავეხლართეთ პირდაპირი თუ არა პირდაპირი თვალსაზრისით?!

დიახ, არც ამ სასამართლოს იმედი მაქვს! რადგან კიდევ რომ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტოს რამე, აღსრულებისას თუ ისევ მართალი ვიქნებით, შესაძლებელია, ისევ საომარ სიტუაციაში აღმოჩნდეს ქვეყანა მით უფრო, თუ ნატოში გაწევრებით და დასაველეთის სამხედრო პლანდარში ჩვენს ტერიტორიაზე განთავსდება! ფრთხილად, ქართველებო, ფრთხილად!

ამიტომ საჭიროა, ჩვენი წარსული გავისწნოთ და გაგაანალიზოთ, თუ ვინმეს სხვა სათქმელი ექნება, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ, მხოლოდ ჩვენი მდგომარეობის წნორი ანალიზი დაიწყო!

ნესიბი, არ უნდა გაგიკვირდეთ, რუსეთის მდგომარეობის აღწერით რომ დაიწყო ანალიზს, რადგან ჩვენი ქვეყნის მაშინდელი (და არა მხოლოდ მაშინდელი) ბედ-იღბალი პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის სახელმწიფოს განვითარებასთან, უფრო უზუსტად, „რუსეთის სუნთქვასთან“, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე უწოდებდა.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ 100 წლის წინათ, რომ არა რუსეთი, არც სხვა მეზობლები დაგვკავებდნენ ხელს. არ დაგვავიწყდეს მაშინდელი ირანი, თურქეთი და სხვა მრავალი ფაქტორი.

(სამწესწარმო, მუსლიმანური სამხმაროდ ღვთისა სტარტეგია! თურქეთში რამდენი ხანია, ცდილობს ჩვენს ბადაყლაპვას, მართალია, ტაო-კლარჯეთი დიდი ხანია, წაბებართვა, მაგრამ აჭარაზე და მესხეთშიც თვალი უჭირავს. მაშინ რუსეთს რომ არ შეეპირებოდნენ, თუ დაპირებოდნენ (რაც ვინდა, ის დაბრუნდნენ), საკითხავია, ახლა სად ვიქნებოდით, რამდენი და რანაირი?! (ბანისხანეთი, როგორ გამოიყურებოდნენ მუსლიმანური სამხმაროდ მიერ დაპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აქართველები).

ისე კი, რუსეთში კაპიტალისტური წყობის დამყარება მხოლოდ 1917 წლიდან გახდა შესაძლებელი. ის მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი შესაძლებლობები ვერ სწევდებოდა მსოფლიოს კაპიტალისტური სამყაროს მოთხოვნილებებს და მის მთავარ მახასიათებელს — კონკურენციას!

სწორედ ამიტომ წერდა ხოცე ორბელიანი „მათათა ამბობაში“: „კაპიტალიზმმა გამოარჯვა იქ, სადაც ამის საფუძველი არსებობდა, ხოლო დამარცხდა ყველაზე უსუსტ რგოლში — რუსეთში, სადაც ბოლშევიზმმა გაიმარჯვა“. ამავდროულად, მაშინდელი რუსეთის წინააღმდეგობა უდიდესი ენერჯია ვერ ეტყოდა იმ საზღვრებში, რომლებშიც მსოფლიო კაპიტალისტური სამყარო მას ათავსებდა. მაშინდელი რუსეთის პოტენციური ენერჯის საგულისხმო ნაწილს კი მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი და მართლადი ძალა — პროლეტარიატი წარმოადგენდა.

მისი სიძლიერე იმ ბრძოლებში გამოისატებოდა, რომელსაც იგი ელემენტარულ, სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნებსა დასაკმაყოფილებლად აწარმოებდა, თან ამ ბრძოლების საპირინონედ დასაკარგი არაფერი ჰქონდა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ კაპიტალისტური სამყარო, ეგრეთ წოდებული, „წითელი ჭირისაგან“ დასაცავად უამრავ მექანიზმს მიმართავდა: გააუმჯობესა მშრომელთა სოციალური მდგომარეობა, შეიქმნა ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, რომელთა მოქმედება მანამდე არასებური სამართლიანობის პრინციპის დაცვით ხასიათდებოდა. იმპერიული სახელმწიფოები, ერთი მეორის მიყოლებით, ათავისუფლებდნენ თავიანთ კოლონიებს.

ხოლო, წინა საუკუნის 60-70-იან წლებში, კომუნისტების აქტიური ძალისხმევით, მსოფლიოში აიკრძალა მმართველი სოციალური ფენის დიქტატურა სხვა სოციალური ფენის მიმართ (საბჭოთა კავშირში — პროლეტარიატის, კაპიტალისტურ სამყაროში — კაპიტალისტების). ასევე აღსანიშნავია, გერმანიის გაერთიანება, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა და ა. შ. თუმცა ახლა იქ ისევ ქართული შენაერთები დგანან (ა.შ.შ.-ის სამხედრო მისიით).

დიახ, საბჭოთა კავშირმა თავისი არსებობით პროგრესული აზრის მასშტაბურობას შეუწყო ხელი, რომელმაც კაცობრიობა პროგრესული, სა-

გამგრძობა. დასაწყისი №. №129.



# გვეყვება რამე?

## დიახ, გვეყვება, გვეყვება!!!

მართლმსაწინაო განვითარების გზაზე დააყენა. აქვე მახსენდება ისევ ორბელიანი გახეხო: „მომაველში ვერობამ, დიხანა, შეიძლება ერთუზიაზში მიიღოს კომუნისტური დოქტრინა, მაგრამ ეს კომუნისტური პროპაგანდის წყალობით კი არ მოხდება, არამედ მის საპირისპიროდ“ („მათათა ამბობი“).

ჩემი აზრით, ამ მოსაზრებას ესმინება ის ფაქტი, რომ დღეს საფრანგეთში, ინგლისში, საბერძნეთსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში (ჩვენგან განსხვავებით) ძალიან აქტიურად განიხილება მემარცხენი იდეები. სოციალისტები და ლიბერლისტები ხელისუფლებაშიც კი ახერხებენ მოსვლას!

შეიძლება ითქვას, საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოში არსებული გაუნაწილებელი ენერჯის განმუხტვის ერთადერთი საშუალება იყო, რომელიც შეიძლება შექვა-ქუხილსა და მისი გაგავრცელებას შეეადაროს!

ამავდროს, კომუნისტური წყობილების დამარცხების გამო, სოციალიზმის უარყოფა დიდი შეცდომაა მას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. იგი ყველა პოლიტიკური ფორმაციის განვითარების მაოძრავებელი ძალაა, რაც ისტორიულად, ეტაპობრივად ხორციელდებოდა კიდევ ევოლუციის გზით, დაწყებული პირველყოფილი წყობილებიდან დღემდე საბოლოოდ, ჭეშმარიტი სოციალიზმი ყველა სოციალური ფენის თანაარსებობას ნიშნავს, რომელსაც ძლიერი სახელმწიფო და მძლავრი ეკონომიკური წიაღი სჭირდება.

კომუნისტებმა, გამოზინდნარე იქიდან, რომ დასაწყისში მათ არც ძლიერი სახელმწიფო და არც ყველა სოციალური ფენის საამისო ნება არ გააჩნდათ, ქვეყანა პროკრუსტეს სარეცლად გადააქციეს. ხოლო ხელისუფლებაში დღემდე არსებული შესაძლებლობით, რეჟიმული გზით მოვიდნენ და კაპიტალისტური დიქტატურა პროლეტარიატის დიქტატურით შეცვალეს!

დიახ, დიქტატურის გარეშე იმ პერიოდში არც ერთი ქვეყანა არ იმართებოდა. პროლეტარიატს, მუშებსა და გლეხებს ვინ მიუშვებდა ქვეყნის სათავეში, თუ თავადაც ძალს არ გამოიყენებდნენ? ან მუშებისა და გლეხებისგან, ამ გაუბეჭდურებულ ხალხისგან, არ შეიძლება, ისეთი პუმპინიზმი და ლობობერება მოვიხსოვოთ, როგორიც არასდროს გამოუვლენია კეთილშობილებზე პრეტენზიის მქონე თავად არდროკრატისაც კი.

კომუნისტებმა სოციალიზმის ის ფორმა შექმნეს, როგორც მაშინ იყო შესაძლებელი. მართალია, სამინელება ჩაიდინეს და ნიკოლოზის ოჯახი დაუნდობლად ამოხოცეს, მაგრამ მსგავსი რამ ნიკოლოზსაც ჰქონდა ჩადენილი!

სამწესწარმო, ჯერჯერობით, დღემდე არსებულ ყველა რეჟიმს თუ სისტემას სპექტორში მსხვერპლი ჰყავს.

90-იანი წლებიდან დღემდე 50 ათასამდე ადამიანი მოსვდა ციხეში და რაც ხლეკოდა იმ ციხეებში, არც ის დაბეჯდას, რამდენი საზღვარგარეთ წავიდდა და იქაურობაში ციხეებში არის გამოკეტილი, ზოგი მშვიდობიანად, ზოგი კი არა, ზოგიც — ომში. ის სამი ომიც სოფთა პოლიტიკური ხედვისა და სისტემის შიდაპი, რომელიც

თავად აპირჩიით, აკონომიკური პრიზის შესახებ რომ აღარავფიქრებ!

\* \* \*

ახლა, იმის თაობაზე უნდა ითქვას, თუ რა განსხვავებაა საბჭოთადროინდელ რეალობასა და დღევანდელ რეალობას შორის:

1. საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფდა უზენაეს სიკეთეს — მშვიდობას. დაცული იყო ჩვენი საზღვრები, რადგან ვითავალისწინებდით კაცობრიობის დიდ გამოცდილებას: „მართებული დამორჩილო სამართლიანობას, მაგრამ შეუძლებელია, არ დაემორჩილო ძალას“ (პასკალი). დიახ, საბჭოთა დროს მოხდა ძალისა და სამართლიანობის ეტაპობრივი შერწყმა და მისდამი მორჩილებით მშვიდობა დამყვადრდა ქვეყნად!

2. რეგულირებული ბიზნესის საშუალებით, ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით, საგულისხმოდ განვითარდა, რადგან გვექონდა გარანტირებული ბაზარი. მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ კულტურისა თუ მეცნიერების მართულეობით: გაიხსნა ჩვენი მსოფლიო დონის მეცნიერები, კინო, თეატრის, ნაციონალური ანსამბლების, ბალეტის, ოპერის წარმატებები, რომლებიც აღიარა მთელმა მსოფლიომ. არც ჩვენი კლასიკოსი პროზაიკოსები, პოეტები დაგვაეგვიწყდეს.

შევედაროთ იგი დღეს წარმოჩინებულ (და თან პრემირებულ) მკრეხელურ, მკვლელობებზე, ბოროტების გაფეტქებაზე დაფუძნებულ ამორალურ, ბუნდოვან, ისედაც ახსურდად წოდებულ ხელოვნებას, ლიტერატურასა თუ პოეზიას, რომელზეც ჩვენი ახალგაზრდები იზ-

**სამწესწარმო, ჯერჯერობით, დღემდე არსებულ ყველა რეჟიმს თუ სისტემას საკუთარი მსხვერპლი ჰყავს.**  
90-იანი წლებიდან დღემდე 50 ათასამდე ადამიანი მოხვდა ციხეში და რაც ხდებოდა იმ ციხეებში, არც ის დაგვაეგვიწყდეს, რამდენი საზღვარგარეთ წავიდა და იქაურ ციხეებში არის გამოკეტილი, ზოგი მშვიდობიანობის დროს დაიხოცა, ზოგიც — ომში. ის სამი ომიც ხომ იმ პოლიტიკური ხედვისა და სისტემის შედეგია, რომელიც თავად ავირჩიეთ, ეკონომიკურ კრიზისზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

რდება და ყალიბდება. ამიტომ შედეგებიც აღარ უნდა გვიკვირდეს!

3. მოსახლეობის რაოდენობამ კი, როგორც აღწერილია, ხუთ მილიონსაც გადააჭარბა. გავისხნოთ: როცა ერეკლე მეფემ რუსეთთან შეგავართა, ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტი ვიყავით და ტერიტორიულადაც დაწინაურებული გახლდით.

დიახ, საბჭოთა პერიოდში მშვიდობაც გვექონდა, ტერიტორიული მთლიანობაც, დამაშაფის გამოამკარავებ, დასჯად შეგვეძლო და უდანაშაულო გამოართლება. თუ ქმედება სისტიემის ნგრევის პოზიციით არ იყო განპირობებული, მსგავს რამეს არც სხვა სისტემა ინდობს ხოლმე.

4. დღეს, რეალურად, ქართველი მოსახლეობა საკუთარ მიწა-წყალზე 3 მილიონამდე თუ დავერჩით, თანაც ტერიტორიები დაგვკარგეთ.

5. ჩვენი ქალები რუსეთში ხელზე მოსამსახურედ არ მიდიოდნენ, პირიქით, რუსი ქალები მსახურობდნენ ჩვენთან. სხვათაშორის, ძირითადად, მაღალი ხარისხით.

6. გვექონდა უფასო სამედიცინო მომსახურება და უფასო განათლების სისტემა! დღემდე ძირითადად, მაშინდელ უფასო საავადმყოფოებსა და სასწავლებლებში მყურნალობს და სწავლობს ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, მხოლოდ ამისთვის საგულისხმო რაოდენობით საფასურს იხდის!

7. დღესაც ძირითადად, საბჭოთა დროს აშენებული კულტურული ცენტრებით (კინოთეატრებით) და სატრანსპორტო საშუალებებით (მეტრო, აეროპორტები, რკინიგზის სადგურები) ვსარგებლობთ, სადაც მაშინდელ ფასებთან შედარე-

ბით 10-ჯერ და ზოგჯერ 200-ჯერ მეტს ვიხდით. თან ამ თანხის უდიდესი ნაწილი კრძო პირის ფიზეში ჩადის და სახელმწიფოს აღარ ამდიდრებს.

8. ვცხოვრობდით სოციალურად დაცულ პირობებში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებული გახლდათ.

9. მოსახლეობის სულ მცირე 80%-ს ბანკებში ანაბრები ჰქონდა გახსნილი. დღეს მოსახლეობის ასეთივე პროცენტს ბანკების ვალი აქვს!

10. მოსახლეობის თითქმის 100% საცხოვრებელი ბინებით იყო უზრუნველყოფილი. ახალგაზრდა ოჯახები უპირობოდ დგებოდნენ ბინების რიგში! დღეს კი ნათესაობისა თუ ოჯახის ინსტიტუტს ყოველი მხრიდან ებრძვიან. ბინების ჩუქების მოთხოვნას ვინ გაზედავს!

მართალია, ოფიციალურად, დღეს ჩვენთან ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობაა, მაგრამ რეალურად დიქტატურასთან გვაქვს საქმე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 60-70-იანი წლებიდან აიკრძალა მსოფლიოში მმართველი სოციალური ფენის დიქტატურა სხვა სოციალური ფენის მიმართ (საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის, კაპიტალისტურ სამყაროში — კაპიტალისტების), რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყანასა და მსოფლიოს მონივრულ პროგრესულ ქვეყნებში განსაზღვრული იყო ფარდობითი კოეფიციენტი — უდიდეს და უმცირეს რეფასებს შორის, რომლის გამოანგარიშება რეალური საარსებო მინიმუმის შესაბამისად ხდებოდა. რიგ სახელმწიფოებში არსებობდა და არსებობს კოეფიციენტი სახელმწიფოს ეკონომიკურ საკუთრებასა და კერძო ინდივიდუალურ საკუთრებას შორის. რადგან სამართლებრივი სახელმწიფო ერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელშიც სოციალური ფენების თანაარსებობა უნდა იქნეს შესაძლებელი, ხოლო აღნიშნული კოეფიციენტები ამ თანაარსებობას და ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს!

მიხედვით, ალბათ, არც ერთი დასახელებული კოეფიციენტი, განსაკუთრებით 2004 წლიდან, ქვეყანაში აღარ არსებობს და არც არის გამოანგარიშებული. დიდი ხანია, იყიდება და იყიდება ქვეყნის ქონება!

აქედან გამოზინდნარე, მივიღეთ უკიდურესად განსხვავებული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სოციალური ფენები. ეს კი საზოგადო კანონთა შეუსაბამობასა და არასამართლებრივ გარემოს განაპირობებებს. სხვაგვარად ეს ისევე დიქტატურის არსებობაზე მიუთითებს. თან, დიქტატურა სწორედ მშრომელ, დაბალ სოციალური ფენებზე, იმ ხალხზე ხორციელდება, რომლებიც, როგორც დიდი ილია ამბობდა, მუდამ ძირითად საყრდენ ძალას წარ-

მოადგენდნენ მეფისა და ქვეყნისათვის!

რასაც ვერ გიტყვით როგორც მაშინდელ ფეოდალებზე, ისე დღევანდელი მაღალი რანგის პოლიტიკოსებსა თუ მსხვილ მენარჩევებზე. ეს ხალხი თავიანთი დიდი ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამოზინდნარე, საკუთარ ინტერესებს ქვეყნის ინტერესებზე წინ აყენებენ. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პოზიცია თანხვედრილია ქვეყნის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან, რომელიც პირველ რიგში, სწორედ ინდივიდუალურ კერძო ეკონომიკურ ინტერესს განიხილავდა და მხოლოდ შემდეგ ჯერზე — ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს (მემარცხენე იდეოლოგიისგან განსხვავებით, რომელიც პირველ რიგში, ქვეყნის ინტერესს აყენებს). ამ ყოველივეს, კარლ პოპერისა თუ ჯორჯ სოროსის მიერ მოწოდებულ, მსოფლიოს ღია სისტემებით მართვა კიდევ უფრო აძლიერებს და ამყარებს, ქვეყნებს კი ასუსტებს. თან სახელმწიფოც იძულებულია, ქვეყნის ეკონომიკური სისტემაც სხვენებულ სტანდარტების შესაბამისად ააწყო და არსებული მოთხოვნები გაითვალისწინოს. მართვის ამ პრინციპმა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის შიდა ეკონომიკური კრიზისი და შეინირა კიდევ ახლანა ჩვენი პრემიერის პოზიციაც...

ია საკანდელიძე

(აღსასრული იქნება)



**საპარტიზო მიმდინარე დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კონკრეტულად პორტების მშენებლობა-განვითარებაზე გადაწყვიტეთ მასალების ციკლი შემოგვეთავაზებინა მით უფრო, რომ ამ კუთხით ანალიტიკური მასალების სიმწირეა. ვფიქრობთ, მოსახლეობას უფრო ვრცელად და დეტალურად უნდა მიენოდოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ქვეყანაში დაგეგმილ დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება, იცოდეს კონკრეტულად, რა დივიდენდებს მოუტანს ქვეყანას აღნიშნული პროექტები.**

**გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ ის სიკეთეები, რასაც მსგავსი პროექტების განხორციელება ქვეყანას უსაფრთხოების თვალსაზრისით მოუტანს.**




საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი **მკბ აპოზია** ანაკლიის ღრმანყოფილებაში პორტისა და ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე თანამედროვე ტერმინალის მშენებლობას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან უნოდებს და აცხადებს, რომ „რაც უფრო მეტი დიდი მოთამაშე იქნება დაინტერესებული საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით, ამით არა მარტო მეტ ეკონომიკურ დივიდენდს მივიღებთ, არამედ განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარემო“.

„თანამედროვე ტერმინალის მშენებლობა შავი ზღვის რეგიონის ახალ როლს შესძენს და საქართველოს აკვატორიას მკაფიოდ წარმოაჩენს მსოფლიო სატრანზიტო დერეფნების კონკურენტულ რუკაზე. პორტის აშენების მიზანშეწონილობაზე ბევრი თქმულა, ხოლო თუ მოკლედ შევავაშებთ, სტრატეგიული უპირატესობა რაც ამ ახალი სატრანზიტო ინფრასტრუქტურით უნდა მოვიპოვოთ, არის შემდეგი: დიდი ზომის გემების (პანამაქსის ტიპის) მიღების შესაძლებლობა, რომლებიც გაცილებით მეტ კონტინერს იტვივენ, ვიდრე ფოთის პორტი შემომავალი მცირე გემები; ადგილზე ეფექტური მომსახურების ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც რეგიონის სხვა საპორტო მომსახურებას კონკურენტულად გაუწევს ტექნოლოგიური თვალსაზრისით, იქნება უფრო მოქნილი და სწრაფი, გამჭვირვალე და კონკურენტული ფასებით; ასევე, წლის ნებისმიერ პერიოდში იქნება ღია მომსახურებისთვის და ირგვლივ განთავსდება თანამედროვე სანაოსნო და ტვირთბრუნვის სწრაფი მონოდების ინფრასტრუქტურა. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით ევალება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, რომელმაც სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა და რომლის ეფექტურ და დროულ მუშაობაზე დამოკიდებული ანაკლიის პროექტის შესაბამის ვადებში განხორციელება.“

თუმცა, იმისთვის, რომ პორტებმა თვისობრივად ახალი მნიშვნელობა შეიძინონ, საჭიროა კოორდინირებული და ინტენსიური მუშაობა სხვა მიმართულებებშიც: მთავრობამ ერთიანი მიდგომით – ეკონომიკის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკების კოორდინირებული მუშაობით ძალიან აქტიურად უნდა იმოქმედოს ტრანზიტის, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის და შუა რეგონის პარტნიორებთან, ვინაიდან გაზრდილი ტვირთბრუნვის გარეშე ამ თანამედროვე და ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურას აზრი ეკარგება. აქ უამრავი საკითხია გასათვალისწინებელი: ვისი ტვირთი შემოვა, მოხერხდება თუ არა ამ დიდი გემების შემოვება ბოსფორის სრუტიდან საქართველოსკენ, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა თურქეთის მხარესთან, ვახერხებთ თუ არა ამ მარშრუტის საჭიროების დასაბუთებას როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის, ასევე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით. რომელი კომპანიები იქნებიან დაინტერესებული ამ

## მკბ აპოზია: სატრანზიტო დერეფანი – ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ამოცანა



დერეფნით? ცხადია ჩინეთი, ინდონეზია, პაკისტანი, ცენტრალური აზიის ქვეყნები, ცენტრში აზერბაიჯანი და თურქეთი, ხოლო დასავლეთით ჩვენი პარტნიორები: რუმინეთი, ბულგარეთი – უმნიშვნელოვანესი მონაწილეები არიან. გვჭირდება მათთან მუდმივი და მიმდინარე კომუნიკაცია და შესაბამისი მზადყოფნისთვის მემორანდუმების გაფორმება, რათა პორტის გაშენების კვალდაკვალ რეალობა იყოს პორტის სათანადოდ დატვირთვა. ცხადია, მსოფლიო ერთადერთი არ დგას, სანამ ანაკლიის პორტი შენდებოდა; ამასთან, ანაკლიის პორტმა კონკურენტის უნდა გაუწიოს როგორც ჩრდილოეთის (სადაც რუსეთის საკვანძო დერეფანი) ასევე სამხრეთის მარშრუტებს (ზღვით); ამასთან, უნდა გვეკონდეს ტვირთის მონოდება დივერსიფიცირებული, რადგან მხოლოდ პორტების დატვირთვა რკინიგზას დააზარალებს, ხოლო მცირე ტვირთბრუნვით პორტი რენტაბელური ვერ იქნება. ამიტომ, მუდმივად უნდა ვიყოთ უპირატესი ნიშის დაკავების და ამ ნიშის პოლიტიკურად სწორად და ეფექტურად წარმოების პროცესში. საქართველოს უბრალოდ არა აქვს იმის ფუნქცია, რომ ამ გეოპოლიტიკური მიზნის რეალიზაციისკენ მიმართულ ეფექტურ ზომებში მიმდინარე და დაჩქარებულ ტემპებში არ ახორციელებდეს“ – აცხადებს პროფესორი **მკბ აპოზია**.

მისივე თქმით, „დღემდე საპარტიზო პროგრამის განხორციელებაში არაა რაიმე უკუბრუნება, რადგან რეალიზაცია უნდა დაიწყოს ახლავე“.

„ზოგადად, რაც უფრო მეტი დიდი მოთამაშე იქნება დაინტერესებული საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით, ამით არა მარტო მეტ ეკონომიკურ დივიდენდს მივიღებთ, არამედ განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარემო. დღემდე საქართველოს რუსეთი განიხილავს როგორც საკუთარ უკანა ეზოს, სადაც არავინ უნდა შევიდეს. თუ ჩინური, ინდური, პაკისტანური, ვიეტნამური კომპანიები საქართველოზე

ტრანზიტის შეუფერხებლად გატარებაში ნახვენ საკუთარ ინტერესს, ისევე როგორც რევრსული ტრანზიტით დაინტერესდებიან ევროპული კომპანიები, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღაცის „უკანა ეზო“ კი არა, მნიშვნელოვანი კორიდორი ვართ და რუსეთი ვერ გახდება ჩვენთან დესტაბილიზაციის მოწყობას და გაიზრდება ჩვენი თავისუფლების სარისხი. ამ როლის სრულყოფილად რეალიზაცია ქვეყნის ეროვნული ინტერესია და მასზე ბევრი მუშაობა გვმართებს.“

ეკა აპოზია თანამედროვე მოსაზრებას, რომ მსგავსი პროექტების განხორციელება ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტიაა. „ამერიკული და ჰოლანდიური კომპანიის ჩართულობა, უპირველეს ყოვლისა, ხარისხის, სამხედროების და სტაბილურობის გარანტიაა. მაგრამ ყველა ეს ღირებულება ამართლებს და ეფექტურია როცა გარემოც შესაფერი ხვდება: აუცილებელია გვეკონდეს გამჭვირვალე და ქმედითი სასამართლო სისტემა, რომ ინვესტორს ჰქონდეს დაცული სიგელის შეგრძობა, ინფორმირებული და მალაპროფესიული პარტნიორები სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორში, რომ ინვესტორს ჰქონდეს სამხედროების განცდა. ამგვარ სიმბიოზს თუ მივანდებთ, ეს კიდევ ერთი გარანტიაა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის“ – აცხადებს **ეკა აპოზია**.

პროფესორი ფიქრობს, რომ ამ პროექტების წარმატება მოცემულობა კი არ არის, პერსპექტივაა, რომლის რეალიზაციისთვის გვჭირდება სერიოზული მუშაობა, „ერთიანი მთავრობის მიდგომის“ პრინციპით.

„არსებული პორტები უკვე შესაძლებლობის მაქსიმუმზე მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ სეზონურად მუშაობენ და ფასები არ არის კონკურენტული. ამიტომ, პორტების მშენებლობა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მით უმეტეს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში უფრო მეტად შეგვიძლია აღმოსავლეთიდან ტვირთის მოზიდვა, პორტის მიმდებარედ მრეწველობის განვითარება და ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქციის უკვე ქართული ბრენდით ევროკავშირის ბაზარზე გატანა. საკითხი ასე კი არ უნდა დაეცვა, გაიზრდება თუ არა გადაზიდვების მოცულობა და ჩამონათვალი, არამედ როგორ გაზარდოთ გადაზიდვები და პროდუქციის ჩამონათვალი. ეს ბევრ გარე ფაქტორზე და მოკიდებული (მაგალითად: სანქციების რეჟიმზე, ნავთობის ფასზე, ჩართული ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე); მაგრამ, ასევე დამოკიდებულია შიდა ფაქტორებზე: მაქსიმალურად გამართული ინფრასტრუქტურა და სერვისი, კონკურენტული ფასები, მთავრობის დროული საგარეო პოლიტიკური აქტიურობა და დემოკრატიზაციის მზარდი მაჩვენებელი, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის ევროპეობისთვის ტემპს განსაზღვრავს. შესაბამისად, ანაკლიის პორტის წარმატება მოცემულობა კი არ არის, პერსპექტივაა, რომლის რეალიზაციისთვის გვჭირდება სერიოზული მუშაობა, „ერთიანი მთავრობის მიდგომის“ პრინციპით“ – აცხადებს „აქცენტთან“ საუბრისას საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი **ეკა აპოზია**.

„აქცენტი“.

## საპარტიზოლად გაყვანილი ბანკანები ევროპულ ქვეყნებში მკერდ იყიდა

საპარტიზოლად მუშაობენ ქვეყნებში ავტომობილები საგრძნობლად გაძვირდა. შეიძლება ამან აზერბაიჯანსა და სომხეთში მოთხოვნის შემცირება გამოიწვიოს და ჩვენი მხრიდან რეექსპორტმაც იკლოს. არადა, ბოლო პერიოდში ავტომობილის ძალიან გამოცოცხლდა. საქართველოდან მანქანები გააყვანენ აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და რუსეთშიც კი.

2018 წელს აზერბაიჯანის საავტომობილო ბაზარზე ერთი გასაყვილი მანქანის ფასი, საშუალოდ, 17 600 დოლარს შეადგენს. საკონსალტინგო კომპანია MBA Group-ის დირექტორის ნუსრეტ იბრაგომოვიის თქმით, ზრდა საკმაოდ სერიოზულია და მანქანების ფასმა მაისში, აპრილთან შედარებით, 11,4%-ით მოიმატა. „მაისში აპრილთან შედარებით, რეალიზაცია ავტომობილის მანქანისა, გასაყვიდად გამოტანილი იყო 2134 მანქანა, მათ შორის 86,27% არის ბენზინის ძრავით, 13,7% – დიზელი. ამავე დროს 71,9% იყო ავტომობილი ავტომატური გადაცემის კოლოფით, 28,07% კი – მექანიკური“, – განაცხადა მან. ექსპერტის თქმით, გაყიდული ავტომობილების საშუალო ასაკია 12 წელი.

ჯერჯერობით უცნობია, მუშაობენ ქვეყანაში არსებულ

ლი ტენდენცია რას მოუტანს ქართველ ავტოდილერებს. აზერბაიჯანი დღემდე რჩება საქართველოდან მანქანების რეექსპორტისთვის მთავარ ქვეყნად და ნებისმიერი ცვლილება მათთვის ძალიან საყურადღებოა. იმპორტიორები ადასტურებენ, რომ ადგილზე მალაღფასიანი ავტომობილები იშვიათად იყიდება და თუკი ვინმე შეიძენს, ისიც ქვეყნიდან გადის. ეს სეგმენტი მუშაობენ ქვეყნებიდან შემოსული კლიენტების იმედად დარჩა. საქართველოში ახლა ჰიბრიდების და იაფი ავტომობილების ბუმიცაა. „ყველაზე დიდი მოთხოვნა ბოლო პერიოდში არის ჰიბრიდებზე. მისი საშუალო ფასი 4-5 ათას დოლარში მერყეობს. ძალიან ბევრი მისი ყიდვის მიზეზად შემდგომ ეკონომიკურობას ასახელებს. რაც შეეხება გაყიდვის ზოგად მაჩვენებელს საშუალო შემოსავლის მქონე კლიენტები უფრო დაბალფასიან მანქანებს ითხოვენ, იშვიათად იყიდება და საქართველოში თითქმის არ რჩება ძვირადღირებული ავტომობილები“, – აღნიშნა ავტოდილერმა ირაკლი ცერცვაძემ. ზოგიერთი იმპორტიორი მიიჩნევს, რომ მუშაობენ ქვეყნებში ფასის მატება ბაზარზე დადებითად აისახება, რადგან აზერბაიჯანში თუ ავტომობილები ძვირი ეღირება, საქართველოდან მისი რეექსპორტი

მალური იქნება. კავკასიის ავტომობილის გენერალური დირექტორი გიორგი სურგულაძე აცხადებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საავტომობილო ბაზარი ძალიან გამოცოცხლებულია. „რეგიონალურ ბაზარზე ისეთი გამოცოცხლება, როგორიც არასდროს ყოფილა. ამ მიმართულებით არის ძალიან გააქტიურებული სომხეთი. მათ მანქანები საბაზო კავშირის ფარგლებში რუსეთში და ყაზახეთში გააყვანენ. შესაბამისად სომხეთი გახდა საქართველოდან ტრანზიტული ქვეყანა რუსეთისთვის და ყაზახეთისთვის. სომხეთს განზრახვის კანონი უწყობს ხელს, რომელიც კოტებს 2020 წლის ჩათვლით ითვალისწინებს“, – განაცხადა გიორგი სურგულაძემ.

იგი დამატებით აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში საავტომობილო ბაზარს უკრაინა დაემატა, სადაც მანქანების დიდი რაოდენობა ექსპორტზე გადის.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წლის იანვარ-მაისში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა 124 მლნ დოლარი შეადგინა მაშინ, როდესაც ეს რიცხვი 2017 წელს 235 მლნ შეადგინდა, 2016 წელს 167 მლნ და 2015 წელს 180 მლნ იწონის.

დიდი ეკრანის ლეგენდები

სასიძაძულე ქართველი კინორეჟისორი გიორგი დანელია მრავალი დაუწყებელი ფილმის შემქმნელი რომ არის, ქვეყანამ იცის: მარტო „აფონია“ და „ქინ-ძა-ძა“ რად ღირს ქინოსელოვნების ამ ბრწყინვალე ნიმუშების მწკრივში თითოეული ჩვენგანისთვის ასე საყვარელი „მიმინო“ მაინც გამოჩნულია! ეს არაჩვეულებრივი კომედიური შედეგები ეკრანებზე ზუსტად 40 წლის წინათ გამოვიდა.

ამასთან დაკავშირებით, ამ შესანიშნავი ნაწარმოების შექმნის ზოგიერთი გარემოება თავის მასტერ-კლასში სცენარის ერთ-ერთმა ავტორმა, ცნობილმა მწერალმა ვიქტორია ტოკარევამ მოყვა, რომელმაც გიორგი დანელიას კიდევ ერთი შედეგის – „ილბლიანი ჯენტლმენების“ გადაღებასთან დაკავშირებით რამდენიმე ამბავიც გაიხსენა.

ორივე ფილმის სცენარი – „მიმინოც“ და „ილბლიანი ჯენტლმენებიც“ გიორგი დანელიამ ვიქტორია ტოკარევასთან შემოქმედებით კავშირში დაწერა, თუმცა მათი ურთიერთობა წმინდა სამსახურებრივ გაცილებით რომანტიკულიც იყო...

გიორგი დანელია რომ გავიცანი (იმ დროს მას ტოკარევას მოთხოვნის მიხედვით დაწერილი სცენარის გადაკეთება სთხოვეს – რედ.), სას-

მელს დიდად ეტანებოდა, რის გამოც მას ოჯახი მკურნალობდა. იმის გამო, რომ სმა სულ უნდოდა, არადა, დალევა არ შეიძლებოდა, იგი მუდამ მოლუშული და უხასიათოდ იყო, დროდადრო კი საშინელ დეპრესიაში ვარდებოდა. მაშინ ამის მიზეზი არ ვიცოდი, ამიტომაც ალექსანდრე მაკედონელივით მკაცრი და მიუწვდომელი ვინმე მეგონა, – ამბობს ვიქტორია ტოკარევა. – არის ასეთი გამოთქმა – „მიუკარება მამაკაცის ძლიერება!“ დანელია არავითარ ყურადღებას არ მაცემდა, რაც მის მიმართ ჩემს ინტერესს აღვივებდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ის შემეყვარდა. ვფიქრობ, მასაც ვუყვარდი, მაგრამ საკუთარ თავს არ უტყდებოდა...

ჩვენ სცენარზე მუშაობას შევუდექით, ყველაფერი რასაც დანელია მთავაზობდა, იმდენად გონივრული, ადვილად საცნობი და ხალასი იუმორით აღსავსე იყო, რომ სიცილით ვიგუდებოდი. ჰოდა, დანელიაც გამოცოცხლდა. მას არაჩვეულებრივი, ნიჭიერი, უაღრესად კულტურ-

...ამბავი მორინაპის, რომელიც პერტმორენს თავის ეზოში აჩერებდა...



ნადი შპალიკოვი გახლდათ, რომელიც ხელიდან წასული ლოთი იყო. ალკოჰოლს ეძალებოდა ვიქტორ კონეცკიც. არადა, სამივე უნიჭიერესი იყო. ისე კი, თუ შეგიძნევიან, ყველა ნიჭიერი კაცი ან ლოთია, ან ნარკომანი, ან საშინელი მექალთანე!.. იმ დროს 26 წლის ვიყავი, არც ალკოჰოლს ვეტანებოდი და არც ვენეოდი. სწორედ ასეთი დადებითი თვისებების გამო ჩემს ნიჭიერებას, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალთ უტყვერდნენ...

„ილბლიანი ჯენტლმენების“ სცენარი ჩვენ ალექსი სერისთვის დავეწერეთ, რომელიც სარეჟისორო კურსებზე დანელიასთან ერთად სწავლობდა, რომელსაც ცხოვრებაში აშკარად არ გაუმართლა: მას ქალიშვილი შეუყვარდა, რომელსაც ერთი ახალგაზრდა – პროფესიით არჩიტექტორი ეარშიყებოდა. ჰოდა, შურიკამაც მას თავში კომბოსტოს საკეპი ნაჯახი ჩასცხო, რისთვისაც ექვსი წლით ციხეში ჩასვეს. მან ხუთი წელი მოიხადა, მერე ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ სამსახურს ვერ შოულობდა. მაშინ დანელია მისთვის პროტექციის გასანევადა „მოს-

რული ოჯახი ჰყავდა. დედამისი შესანიშნავი ქალბატონი ბრძანებოდა, მამა – კიდევ უკეთესი, იგი მოსკოვის მეტრომშენის მთავარი ინჟინერი იყო, გენერალ-მაიორი. ვაჟიშვილის გადაბმულ ღრეობებს ისინი საშინლად განიცდიდნენ და ამ დროს კი ჩემი სიცილი იქაურობას აყრუებდა. ოჯახმა შვებით ამოიხუნტა!

დედამისს უნდოდა, დანელიას მხოლოდ ჩემთან ემუშავა, რადგან ერთად რომ ვიყავით, მუდამ კარგ ხასიათზე იყო. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მე არ ვსვამდი. მანამდე სცენარებს გიორგი ვალენტინ ეყოფოდა ერთად წერდა, რომელიც ალკოჰოლიკი იყო. მისი კიდევ ერთი მენეჯილე გე-



ფილმის“ დირექტორთან მივიდა, თუმცა დირექციიდან უარით გამოისტუმრეს – „სერის სამუშაოს არ მივცემთო“, ვინაიდან ციხეში მოხვედრამდე შურკამ ფილმი „უცხოელი ქალი“ გადაიღო, რომელიც კრიტიკამ გააცამტვერა, კინოსტუდიის თავკაცმა მას უთხრა: „სერის

სამუშაოს იმ პირობით მივცემ, თუკი სცენარის დაწერას, დადგმას, მსახიობთა შერჩევას, მონტაჟს და, მოკლედ, მთელი ფილმის გაკეთებას თავად იკისრებო!“ დანელიაც დათანხმდა, რადგან ქართველისთვის მეგობრობა ყველაფერზე მაღლა დგას!

ფილმის მთავარი ფრაზა დანელიამ მოიფიქრა – „უდაბნოში აქლემი მიდიოდა“. მე უცბად დავამატე – „აქლემზე სამი თაღლითი იჯდა: ქურდი-რეციდივისტი-დოცენტი, ჯიბის ქურდი კოსოი და ხმირი“. ჩვენ ვწერდით და ვკვდებოდით სიცილით. ვიდრე სცენარის წერას დავიწყებდით, დანელიამ უკვე იცოდა, რომ დოცენტის როლს ლეონოვი ითამაშებდა, ხმირისას – ვიცინი, კოსოის – კრამაროვი. სხვათა შორის, ვასილი ალი ბაბავეჩის როლზე ფრუნზიკ მკრტიჩიანიც გაისინჯა, მაგრამ იმდენად ხალასი და კაშკაშა იყო, რომ ყველას ჩრდილავდა, ამიტომ დანელიამ ის აღარ აიყვანა.

„ილბლიანი ჯენტლმენების“ შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ ჩემი მოთხოვნის „როიალზე ძალი მიდიოდა“, მიხედვით სცენარი დაგვეწერა, მაგრამ „მიმინო“ გამოცვივდა: ჩვენ აზერბაიჯანელი მწერალი მაქსიმ იბრაგიმბეკოვი შეგვხვდა, რომელმაც დანელიას შეახსენა, რომ ერთხელ მან ერთი პილოტის ამბავი უამბო, რომელიც ვერტმფრენს თავის ეზოში აყენებდა. ამის შემდეგ დანელიამ თქვა: „მიმინო“ უნდა გადავიღო!“ და სცენარის დაწერას მეორე დღესვე შევუდექით.

ფილმის პირველი ნაწილი ქართული მთის სოფლის ამბების შესახებ რეზო გაბრიაძემ მოიგონა. მეორე ნაწილის შექმნაში, როცა მიმინო მოსკოვში ჩაღის, მეც ვმონაწილეობდი. მთლიანად სცენარის დაწერას თვე მოვუნდით. მერე ჩვენთან სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპ ერმაში მოვიდა და გვითხრა: უნდა ამოჭრათ ეპიზოდი, სადაც მიმინო ქალაქ თელავში რეკავს და ქალი-ოპერატორი კი შეცდომით თელავისთვის აკავშირებს. მაშინ მკაცრი ცენზურა იყო, მაგრამ დანელიამ უპასუხა: „ეს საკვანძო სცენაა, მას ვერ ამოჭრი, რადგან მასში ფილმის მარცვალია“. მთელი აზრი კი რაშია? – ყველაფერი სიკეთე იქ კი არ არის, სადაც ცხოვრება უკეთესია, არამედ იქ, სადაც შენ ხარ საჭირო. თავის სახლში მიმინო ყველას სჭირდება, მოსკოვში კი ვის რაში ენაღვლება?! მაგრამ დანელია ეშმაკია – ფილმის ფესტივალზე საჩვენებლად ეს სცენა ამოიღო, დანარჩენ ასლებში კი თელავში დარეკვის ამბავი დატოვა...

მომამბადა ოთარ ტურაბელიძე

ველასკესის ქმნილებათა შორის ერთ-ერთი ყველზე ცნობილი ტილო „ლას მენინას“ (ფრელინიები, 1656 წ.) პიკასოს შთაგონების წყარო გამხდარა. ველასკესს ასახული აქვს სცენა ესპანეთის სამეფო კარის ცხოვრებიდან. აქ გამოსახული ყოველი პერსონაჟის ვინაობა ცნობილია: დონა მარია

ველასკესის სამეფოში შეჭრილი პიკასო



აუგუსტინა სალიენტო, ინფანტა მარგარიტა, დონა იზაბელა დე ველასკო, ჯუჯა ქალი მარი ბარბოლა და პატარა ნიკოლისიტო პარტუსადო. მარცხნივ ვხედავთ თვით ველასკესს ფუნჯით ხელში. პიკასომ 1957 წლის 17 აგვისტოდან 30 დეკემბრამდე როგორც ამ მთელი ტილოს, ისე მისი ცალკეული ფრაგმენტების 44 ასლი გადაიღო. ამ ნამუშევრებს მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ასლი ეწოდოს. ეს იყო პიკასოს ერთგვარი შეჯიბრი ველასკესთან. ასლებში ის დედნისგან განსხვავებულ შინაარსს დებდა. პიკასო თავისუფლად შეიჭრა ვე-

ლასკესის სამეფოში და გაითავისა იგი. მან ველასკესის ტილოზე გამოსახული ლაბრადორის ჯიშის ძაღლიც კი თავისი ძაღლით შეცვალა, რომელიც ვილაზე ჰყავდა. მე ველასკესთან დავეჭვიდრდი და აქ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც ჩემთან არის – ამბობდა პიკასო.

„ლას მენინასთან“ დაკავშირებით კიდევ ერთ საინტერესო მომენტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. პრადოში მისი ნახვისას, ისევე როგორც მადრიდის სხვა მუზეუმებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებში, თავის დროზე მეგზურობას ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე, კოლექციონერი, წარსულში სამხატვრო გალერეის მფლობელი ქალბატონი გლორია კირბი

(ქალბატონი ელენა კირბი დე ბაგრატიონის ნახევარდა) მიწევდა. მან გამაცნო სურათის ერთი უჩვეულო ინტერპრეტაცია, რომელშიც ყურადღება მითელი ფერის დოქტრინაზე გამახვილებული. ესპანეთში ამერიკიდან შემოქმედდა წითელი ფერის, რბილი თიხა. მისგან დამზადებულ პატარა ზომის ჭირჭელს მოდას აყოლილი ქალბატონები, თურმე, წყალთან ერთად მიირთმევენ, რათა თიხას გარკვეული ხნის განმავლობაში დაეცვა ისინი გასუქებისაგან. სავარაუდოდ, ინფანტას პირველად უნდა გაესინჯა ფრელინის მიერ შემოთავაზებული წითელი



„საბარტიკალი“ ძალზე მიმზიდველი ქვეყანაა კულტურული ტურიზმისთვის. სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში ჩაფრენა და უკან დაბრუნება მხოლოდ 17-20 ათასი რუბლი დაგიჯდებათ. ვიზა არ გჭირდებათ, საკმარისია, თან საზღვარგარეთის პასპორტი გქონდეთ. საქართველოში ძალიან იაფია ბინის ქირაობა, გემრიელი საჭმელები ნაკლები დანახარჯით (თან ძალიან დიდი ულუფებით), თითქმის უფასო საქალაქო ტრანსპორტი – მეტროთი მგზავრობა 50 თეთრი ღირს, ანუ ჩვენებურად, 13 რუბლი“, – ასე იწყება რუსული გამოცემის „Вечерний Санкт-Петербург“-ის მიერ ელენე დობრიაკოვას ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან, მცირედ შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „50-შპრსი“ გათავაზობს:

# ვისსენათ ბიჭის...

**სადაც იბრძნობ, თუ როგორ შორსაა ჩვენთან საქართველო და, ახავდროულად, როგორ გჭირდება ვართ მასთან დაკავშირებული უამრავი ისტორიული და კულტურული ადგილი...**

დგება. თუმცა რაღა სხვას ვსაყვიდებოდა, როცა ჩვენთან, სანკტ-პეტერბურგშიც თითქმის იგივე მდგომარეობაა – პოეტის სახლი სადღაცადაა დახრული ელოდება. თბილისში იმ სახლსაც ნახავთ, დიდებული სადარბაზო შესასვლელით, რომელშიც კომპოზიტორი მიქაელ ტარაივერდივი ცხოვრობდა, თუმცა ბარელიეფებს ქვემოთ საკვამლეები ჩამსხვრეულია, კარი კი დალრცული. მისი დანახვა ასეთ მდგომარეობაში კიდევ გწყინს და კიდევ გხიბლავს – შენ მომეხარს დროის ბუნებრივი მსვლელობისა, რომელიც ქალაქის ოდესღაც არსებულ სილამაზეს თავის დაღს ასვამს. თბილისში საბჭოთა პერიოდის მრავალი ნაგებობა ნაანადგობი: ეს არის მეტრო, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია 1960-იანი წლების ფირნიშები და მანქანები, ქუჩის საკაბალიზაციო და სატელეფონო ქუჩები, ხიდების ჩაქუჩ-ნამგლიანი ცხაურები.

ძველ თბილისს „ტიფლისის“ სუნი უდის – ისეთი ქალაქისა, რომელიც ოდნავლა გვახსოვს მე-19 საუკუნის ფოტოებისა და სურათების მიხედვით. სასიამოვნოა რევოლუციამდე დამბრუნებულ ცხოველებს დანახვა და სახანაული ჩუქურთმებით დამზადებული აქვები. ძველი ქალაქის ცხოველები ბავშვები თამაშობენ, უფროსები კი ზაფხულის ცხელ ასფალტს აგრილებენ – საქართველოში წყლის მრეცხველები ან არ არის, ან მათ ყურადღებას არ აქცევენ. ირგვლივ სამზარეულოებიდან გამოსული სურნელი დგას... მაგრამ ამ სახლებში დრო თითქოს გაიყვანა – მათი ყოფილი ბრწყინვალეობა გაფერმტრალდა, გაცვდა, ბათუაშაყრილები დგანან გადახრილი აივნებითა და ვერანდებით. ამჟამად ძალიან ბევრი ავარიული შენობაა გუდიაშვილის მოედანზე, სადაც 1837 წელს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშკი მიხეილ ლერმონტოვი ცხოვრობდა. გაუგებარია, ეს შენობა დაკონსერვებულია და თუ მას დანგრევა ელო-

დგება. თუმცა რაღა სხვას ვსაყვიდებოდა, როცა ჩვენთან, სანკტ-პეტერბურგშიც თითქმის იგივე მდგომარეობაა – პოეტის სახლი სადღაცადაა დახრული ელოდება. თბილისში იმ სახლსაც ნახავთ, დიდებული სადარბაზო შესასვლელით, რომელშიც კომპოზიტორი მიქაელ ტარაივერდივი ცხოვრობდა, თუმცა ბარელიეფებს ქვემოთ საკვამლეები ჩამსხვრეულია, კარი კი დალრცული. მისი დანახვა ასეთ მდგომარეობაში კიდევ გწყინს და კიდევ გხიბლავს – შენ მომეხარს დროის ბუნებრივი მსვლელობისა, რომელიც ქალაქის ოდესღაც არსებულ სილამაზეს თავის დაღს ასვამს. თბილისში საბჭოთა პერიოდის მრავალი ნაგებობა ნაანადგობი: ეს არის მეტრო, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია 1960-იანი წლების ფირნიშები და მანქანები, ქუჩის საკაბალიზაციო და სატელეფონო ქუჩები, ხიდების ჩაქუჩ-ნამგლიანი ცხაურები.

# ვაჟა ბერიძე: ნარეაგებელი მთავრობების ყოლის ლიმიტი ამოგვეწერა!

**(მსახმ გვერდიდან)** – ეს არის ხელისუფლების უნათობის გამოხატულება. საქართველოში ეკონომიკის ხელშეშლება აღმავლობა რომ არ არის, რა თქმა უნდა, შედეგია იმ პოლიტიკის, რომელსაც აგერ უკვე, 5 წელზე მეტია, ახორციელებს ახალი პოლიტიკური ძალა.

არანაკლები პრობლემები წამოიყვანს ხოლმე თავს სამეზობლოში, ვგულისხმობ აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს. ასეთ ვითარებაში დასავლური კაპიტალი ნამდვილად არ მოიხსნაფის, თუ მოდის, ისევ რუსული ან არაბული. თუ შემოიძინა – მენარეები მხოლოდ თურქეთიდან ან აზერბაიჯანიდან...

მიანიც მოუწავთ შიმშირებამაზა წასვლა და შესაქმონა, ხელშეშების კლასს, მებრამ მაინც გმონია, რომ უმჯობესი იყო, ახას ღარამოდა ოპტიმიზაცია და არა მცირე მთავრობის პროექტი. ასეთ შემთხვევაშიც შინაქმალეა რომორც სამინისტროების შიმშირება, ისე მოხელეთა კვალიფიკაციის მიხედვით, სამართლიანობის და არა მფარველის სიძლიერის პრინციპით გადარჩება.

ძველი მმართველი ძალის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც უფრო კარგად გაპიარებული იყო, როგორც ლამაზი ზღაპარი. ვირტუალური მხარე, მაგალითად, სააკაშვილის უკეთესი კორნდა გადაჭრით, ვიდრე ეს კომუნისტური რეჟიმის დროს იყო, უფრო ლამაზად მიჰქონდა ხალხთან ინფორმაცია. ესენი რასაც აკეთებენ, იმასაც ვერ ეუბნებიან ხალხს.

კიდევ ერთი პრობლემის წინაშე ვართ – ეს არის ერის დემოკრატიზაცია. წარმოდგინეთ, რა ელოდება იმ ხალხს, ვინც „შავ სიაშია“, ან ვინც არ არის, მაგრამ კრედიტს ვერ აიღებს – რას გააკეთებს? – ბუნებრივია, გაიწვევს ისევ თურქეთისკენ – ნახავთ დასავლეთ საქართველოში ათობით ავტობუსს, რომლითაც თურქეთში დღე-ღამე სამუშაოზე გადიან – ჩაისა და თბილისის პლანტაციებში. ისევ წავლენ საბერძნეთში, რუსეთში და ა.შ... ჩინეთიც არ ვართ, რომ იაფი მუშახელი გვყავდეს და დასავლური კორპორაციებისთვის მიმზიდველი გარემო იყოს...

საალი პრემიერი, საგარეოდ ახალი ეკონომიკური ინციტივების განხორციელებასაც შეუდგება, უკვე დააანონსა ახალი საბაჟო-საგადასახადო კოდექსების შესახებ, ისაუბრა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე. მეორე მხრივ, ვხედავთ თბილისის მერის აქტიურ მდებარეობებს, რამენიარად აამუშაოს ბიზნესები – ღამის ეკონომიკის პროექტი წამოიწვს. ასე, ხელოვნურად შესაძლებელია, სული ჩაშტერო ბიზნესის შექმნას? – ვიცით, რომ ბიზნესი შესაფერის გარემოში თავისთავად იქმნება და ვითარდება. როგორც ჩანს, რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა, რაკი „ხელოვნური სუნთქვის აპარატები“ საჭირო...

რაღ შეეხება ბიზნესგარემოს, ვერ ვიტყვით რომ კარგია – შედარებით უკეთესია, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საგადასახადო წნეხიც შედარებით მსუბუქია.

რეალურად, ასეთი მდგომარეობა და არავინ არ ეუბნება ხალხს, რომ ხელისუფლებაში ზღაპრული რეფორმატორიც რომ მოვიდეს, ეკონომიკის მყისიერ ზრდას მაინც არ უნდა ველოდეთ.

– ყველა ქვეყანაში, რომელიც ბუნებრივი რესურსების სიტყვით არ გამოირჩევა, მცირე და საშუალო ბიზნესია ძირითადი დამსაქმებელი და მშპ-ს მნიშვნელოვანი წილიც მასზე მოდის. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს სექტორი განვითარდეს და თითქოს, აკეთებს კიდევ – იგივე „ანარბიუ საქართველოში“, „სტარტაპების“ დაფინანსებაზეც იყო ლაპარაკი და ა.შ. ასეთი პროსოკონატიული იდეების პარალელურად, ბიზნესის წახალისების მიმართულებითაც უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები.

– შესაძლოა, ასე, მაგრამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი ფაქტიც გაიხსენოთ – გაზრდილმა აქტივის გადასახადმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა – გასაგებია, რომ ბიუჯეტს შევსების წყაროები მჭირდება, მაგრამ სულ ცოტა, იმას მაინც აღარ უნდა ამტკიცებდე, რომ ყველაზე ლიბერალური საგადასახადო გარემო გაქვს...

...კიდევ ერთი თემა – მოსახლეობას საკმაოდ აღიზიანებს ჩინოვნიკთა მაღალი ხელფასები, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა, შევახსენო საზოგადოებას – არაფერი ისე ძვირი არ უჯდება სახელმწიფოს, როგორც იაფი ბიუროკრატია. საარსებო მინიმუმის ზღვარზე მყოფ მოხელეს ცერბერივით უნდა ადგეს სახელმწიფო, რომ ხელი არაფერზე წაუცდეს.

– ვკლავ ქვეყანაში, რომელიც ბუნებრივი რესურსების სიტყვით არ გამოირჩევა, მცირე და საშუალო ბიზნესია ძირითადი დამსაქმებელი და მშპ-ს მნიშვნელოვანი წილიც მასზე მოდის. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს სექტორი განვითარდეს და თითქოს, აკეთებს კიდევ – იგივე „ანარბიუ საქართველოში“, „სტარტაპების“ დაფინანსებაზეც იყო ლაპარაკი და ა.შ. ასეთი პროსოკონატიული იდეების პარალელურად, ბიზნესის წახალისების მიმართულებითაც უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები.

რაღ შეეხება ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას, თქვენ მკითხეთ, რატომ არ ისახება ის მოსახლეობაზე – ვითარება უშიშრისა, ჩვენ არ გვაქვს ნავთობი და გაზი, როგორც აზერბაიჯანსა და ყაზახეთს, არ შევინარჩუნეთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მურნეობები მოდერნიზებული სახით, როგორც გააკეთა ლუკაშენკომ. ასეთ პირობებში ეკონომიკის აღმავლობის მიღწევა იოლი არ არის. თანაც, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა 3-დან 5%-ის ფარგლებში მერყეობს, რეგიონში ყველაზე კარგი მაჩვენებელია, მაგრამ ეს თითოეულ მოქალაქეზე ვერ აისახება – სულ მცირე, 10%-ს მაინც უნდა აჭარბებდეს, ადამიანებმა რომ იგრძნონ – ამ დროს აისახება სამუშაო ადგილების ზრდაში, ეკონომიკის განვითარების დინამიკაში, ინვესტიციების შემოდინებაში... მაგრამ როგორ შემოვა ინვესტიციები ქვეყანაში, რომელსაც რუსეთთან, ფაქტობრივად, საომარი მდგომარეობა აქვს, ტერიტორიის 22% ოკუპირებულია, ორ სეპარატისტულ ანკლავს გამოცხადებული აქვს დამოუკიდებლობა რუსეთის თანადგომით?!

არ უყვართ გახსენება, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა შემოიღო მაღალი ხელფასები, იმისათვის, რომ კორუფცია მოესხოს საშუალო და ქვედა რგოლებში და უდავოდ, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, იმის მიუხედავად, რომ გაუშვა ყველა და თავისი მომხრეები დაასაქმა.

– სერთოდ, იმედიანად ვუყურებ ახალ პრემიერს, იმიტომ, რომ მას კი აქვს ნაკლი – გამოცდილება აკლია, მაგრამ არის განათლებული და ამბიციური – გარკვეული დროით ამბიცია საჭიროა და კარგია – 36 წლის ასაკში იგი ქვეყნის პირველი პირი ხდება. ძალიან რთული საქმეა ასეთი პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ ეს ადამიანი იღებს ამ პასუხისმგებლობას.

შემდეგი ხელისუფლება რომ მოვიდა, ნაწილი გაუშვა და მანაც თავისი მომხრეები დაასაქმა, მაგრამ ხელფასები, პრემიები და დანამატები იგივე დატოვა. საზოგადოების კრიტიკა რომ შეემცირებინა, ამ ხელისუფლებამ პრემიები გააუქმა და ხელფასს შეუერთა, თუმცა საკმაოდ მაღალი თანხა გამოვიდა. ეყოფა, ახლა ვინმეს გამოებადობა, რომ ხელფასი ჩამოაკლოს და 3 ათასის ნაცვლად 2 ათასი გადაუხადოს ჩინოვნიკს? – ასე ხომ ხარჯებიც შემცირდებოდა? – ამას ხელისუფლება არ აკეთებს, რადგან მისი დასაყრდენიც ბიუროკრატიაა, წინ კი ორი არჩეუნიბია.

შემდეგი ხელისუფლება რომ მოვიდა, ნაწილი გაუშვა და მანაც თავისი მომხრეები დაასაქმა, მაგრამ ხელფასები, პრემიები და დანამატები იგივე დატოვა. საზოგადოების კრიტიკა რომ შეემცირებინა, ამ ხელისუფლებამ პრემიები გააუქმა და ხელფასს შეუერთა, თუმცა საკმაოდ მაღალი თანხა გამოვიდა. ეყოფა, ახლა ვინმეს გამოებადობა, რომ ხელფასი ჩამოაკლოს და 3 ათასის ნაცვლად 2 ათასი გადაუხადოს ჩინოვნიკს? – ასე ხომ ხარჯებიც შემცირდებოდა? – ამას ხელისუფლება არ აკეთებს, რადგან მისი დასაყრდენიც ბიუროკრატიაა, წინ კი ორი არჩეუნიბია.

– ითის მთავრობის მთავარი მენეჯერის ფუნქციას მორგებს კვირიკაშვილივით, მაშინ მის მცდელობებს შედეგი არ ექნება. მაგრამ, თუ გახდება პოლიტიკური ლიდერი, არ ჩაიკეტება კაბინეტში, არ მოწყდება საზოგადოებას, თუ ალადადგენს დიალოგს მასთან, რაც „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტობრივად, შეწყვიტა, მისი წარმატების მოწმენი გავხედებით.

შედეგი ხელისუფლება რომ მოვიდა, ნაწილი გაუშვა და მანაც თავისი მომხრეები დაასაქმა, მაგრამ ხელფასები, პრემიები და დანამატები იგივე დატოვა. საზოგადოების კრიტიკა რომ შეემცირებინა, ამ ხელისუფლებამ პრემიები გააუქმა და ხელფასს შეუერთა, თუმცა საკმაოდ მაღალი თანხა გამოვიდა. ეყოფა, ახლა ვინმეს გამოებადობა, რომ ხელფასი ჩამოაკლოს და 3 ათასის ნაცვლად 2 ათასი გადაუხადოს ჩინოვნიკს? – ასე ხომ ხარჯებიც შემცირდებოდა? – ამას ხელისუფლება არ აკეთებს, რადგან მისი დასაყრდენიც ბიუროკრატიაა, წინ კი ორი არჩეუნიბია.

– ითის მთავრობის მთავარი მენეჯერის ფუნქციას მორგებს კვირიკაშვილივით, მაშინ მის მცდელობებს შედეგი არ ექნება. მაგრამ, თუ გახდება პოლიტიკური ლიდერი, არ ჩაიკეტება კაბინეტში, არ მოწყდება საზოგადოებას, თუ ალადადგენს დიალოგს მასთან, რაც „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტობრივად, შეწყვიტა, მისი წარმატების მოწმენი გავხედებით.

– ითის მთავრობის მთავარი მენეჯერის ფუნქციას მორგებს კვირიკაშვილივით, მაშინ მის მცდელობებს შედეგი არ ექნება. მაგრამ, თუ გახდება პოლიტიკური ლიდერი, არ ჩაიკეტება კაბინეტში, არ მოწყდება საზოგადოებას, თუ ალადადგენს დიალოგს მასთან, რაც „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტობრივად, შეწყვიტა, მისი წარმატების მოწმენი გავხედებით.



საქართველო

### ქვეშეთი-კობის გზის პროექტი

კრედიტის/სესხის ნომერი: არ არის განსაზღვრული  
დავალების სახელწოდება: პროექტის მართვა და კონტრაქტის ზედამხედველობა  
#KKRP/CS/QCBS-01

საქართველო აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის განვითარების საინვესტიციო ბანკისგან მიიღებს დაფინანსებას ქვეშეთი-კობის გზის პროექტის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანდაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესს გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: პროექტის მართვა და კონტრაქტის ზედამხედველობა.

დავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 72 თვე.  
შერჩევა განხორციელდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Procurement Regulations for ADB Borrowers (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: <https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf>).

ინტერესს გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის [https://uxdmz06.adb.org/OA\\_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=144057](https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=144057) საშუალებით არაუგვიანეს 24 ივლისი 2018 წელი.

GEORGIA

### KVESHETI-KOBI ROAD PROJECT

CREDIT/LOAN NO: TBD  
NAME OF THE ASSIGNMENT: PROJECT MANAGEMET AND CONTRACT SUPERVISION  
PACKAGE #KKRP/CS/QCBS-01

Georgia has applied for financing from Asian Development Bank (ADB) and European Bank for Reconstruction and Development (EBRD) toward the cost of the Kvesheti- Kobi Road Project and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible consultants to express their interest for the following Consultancy Service: Project Management and Contract Supervision.

Approximate duration of the assignment: 72 months.  
Selection will be done according to the Quality and Cost Based Selection Method (QCBS) provided in Procurement Regulations for ADB Borrowers (available at <https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf>).

The Expressions of Interest will be submitted through ADB Consultant Management System: [https://uxdmz06.adb.org/OA\\_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=144057](https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=144057) not later than July 24, 2018.

### ავტოსაგზაო უპრობლემა ნეროვანთან



ნეროვანთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 18 ადამიანი დაშავდა. არსებული ინფორმაციით, ყველა მათგანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

### ბათუმში 27 წლის ბიჭი დაიხრჩო

შემთხვევა იახტკლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ცხედარი მაშველებმა იპოვეს. თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ზღვაში საღამოს შევიდა, უკან გამოსვლა კი ვეღარ მოახერხა. მათივე თქმით, ის სავარაუდოდ, ნასვამი იყო. ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა. საქმეზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

### ქუთაისის მსხოვრებმა ავტოფარეში დიდი ზომის ქვეწარმავალი იპოვეს

ქუთაისში, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბუხაიდის ქუჩაზე ადგილობრივებმა დიდი ზომის ქვეწარმავალი იპოვეს, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. დაახლოებით 150 სმ სიგრძის გველი ბერდია მალულარიამ საკუთარ ავტოფარეშში თაროზე აღმოაჩინა.



„არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა შხამიანი. ასეთი ზომის ქვეწარმავლის დანახვამ შეიძლება შოკში, არა მხოლოდ პატარა, არამედ ზრდასრულიც ჩააგდოს“, - ამბობს ბერდია მალულარია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მდინარე ოლასკურას მიმდებარე ტერიტორიაზე ქვეწარმავლებს პოულობენ. ქუთაისის მერიასი აცხადებენ, რომ შენამველის სამუშაოები მთელი ქალაქის მასშტაბით დაწყებულია. თითოეულ გამოძახებაზე კი რეაგირება მყისიერად ხდება.

### ახალგადა მწერალ ზურაბ აბაშიძის დისკრიმინაციის ფაქტი გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დებარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მწერალ ზურაბ აბაშიძის მიმართ დისკრიმინაციის ნიშნით ძალადობის ფაქტზე 1998 წელს დაბადებული გ.ქ. გამოავლინეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გ.ქ-მ მიმდინარე წლის 22 ივნისს, თბილისში, 26 მაისის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1995 წელს დაბადებულ ზურაბ აბაშიძეს დისკრიმინაციის ნიშნით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

მაგთის მობილური სერვისი

# ჩაბაბი

1

2

3

4

ჩართვა

- [www.magticom.ge](http://www.magticom.ge)
- [mymagti.com](http://mymagti.com)
- მაგთის ოფისი
- 11 00 11 - მაგთიკომის ქსელიდან გარი უფასო

თუ გაქვს მაგთის ინტერნეტი ან IP-ტელევიზია, შექმენი ჯგუფი მაგთის 4 ნომრისგან და ისაუბრეთ ერთმანეთთან მთელი თვე უღირსოდ!

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [www.magticom.ge](http://www.magticom.ge)

მამუკა ბახტაძე:

საქართველო ჩემპიონების საუბრობა, სოლო ოლიმპიელები ჩვენი დროის გმირები არიან

საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსახლეობა მრავალრიცხოვანი არ არის, ისტორიულად უნიკალური შედეგები აქვს სპორტში, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჩემპიონების სამშობლოა, - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ქართველ ოლიმპიელებს, რომლებსაც მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

„თითოეული თქვენგანი საქართველოს გმირია. თქვენი შრომა ნათელი დასტურია იმისა, რომ თუ ადამიანი მოინდომებს, შედეგს აუცილებლად მიაღწევს. ეს არის ჩვენი, ქართველების, ძალიან მნიშვნელოვანი ხასიათი და თქვენ ამის საუკეთესო მაგალითი ხართ. მინდა, თითოეულ თქვენგანს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. ჩვენ მედლების რაოდენობით მსოფლიოს საუკეთესო 30 ქვეყანაში შევდივართ. ეს მართლაც უნიკალური მოვლენაა და ამ ყველაფერს კიდევ უფრო განმტკიცება და გაძლიერება სჭირდება“, - მიმართა პრემიერ-მინისტრმა ოლიმპიელებს.



მამუკა ბახტაძემ 85 წლის იუბილე მიულოცა მსოფლიოს რეკორდსმენ ნადეჟდა დგალიშვილს და აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი ადამიანების მხრებზე დგას საქართველოს წარმატება.

პრემიერის თქმით, სპორტი იქნება ყველაზე დიდი პრიორიტეტი, რომლის განვითარებას მთავრობა დიდ ყურადღებას დაუთმობს.

„ახალი სამთავრობო პროგრამის წარდგენისას ჩვენ ვთქვით, რომ მაქსიმალურ პრიორიტეტს ვივანიჭებთ განათლებას და განათლება ვერასოდეს იქნება წარმატებული, თუ მას არ ახლავს სპორტული კომპონენტი. სპორტსმენი ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს სპორტს იმისთვის, რომ ადამიანს ჩამოეყალიბდეს ის ფასეულობები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა თითოეულმა ჩვენგანმა შექმნას ძლიერი და წარმატებული საქართველო“, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ლონისძიებს, ქართველ ოლიმპიელებთან ერთად, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ვიცე-პრეზიდენტი ნილს ნიგარდი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი ესწრებოდნენ. ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა ბახტაძეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა მიულოცა. ნილს ნიგარდის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ შესანიშნავ სპორტულ ქვეყანას, როგორც საქართველოა, ასეთი ახალგაზრდა და სპორტული სულისკვეთების მქონე პრემიერ-მინისტრი ჰყავს.

მითალი ჯაფარიძე

მუნდიალი 2018

ბაჭირშვილი მიჩვენე...

რუსეთში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი კიდევ ერთი სპექტაკლით დამსვენდა. საუბარია გერმანია-შვედეთის მატჩზე, რომელშიც მოქმედ გვირგვინოსანთა ბედი წყდებოდა.

მოგესხებოდა, იოაჰიმ ლიოვის გუნდი ტურნირში მექსიკასთან სენსაციური მარცხით ჩაება, რის გამოც აუცილებელი გახდა სკანდინავიელებთან შეხვედრის მოგება.

ბუნდესნაკრებს ამოცანას საკადრო პრობლემებიც ურთულებდა - კერძოდ, პარტნიორებს კისრის ტრავმის გამო დაცვის ბურჯი ჰუმელსი გამოაკლდა, რამაც შესვენებამდე იჩინა კიდევ თავი - ჯერ ცენტრალური ზონიდან მეკარე ნოიერთან პირისპირ გასულ ბერგთან კონტაქტზე დახუჭეს თვალი მსაჯებმა, თუმცა, მალევე მოსახდენი მანინც მოხდა - კროოსის მორიგ ბავშვურ შეცდომას ტოივონენის ფილიგრანული დარტყმა მოჰყვა - 1:0.

საფიქრებელი იყო, რომ კედელთან მიყენებული ფავორიტი ტრადიციისამებრ, კიდევ ერთხელ შემოგვთავაზებდა ფსიქოლოგიურ ამაღლებას. ასეც მოხდა - ბრძოლის განახლებისთანავე როისმა ურთულეს ვითარებაში მიუხლით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო საფინალო სასტენის წინ კროოსმა ზღაპრული საჯარიმოთი მოახდინა ვითარებაბილიტაცია - 2:1.

ამავე უქმეებზე ანალოგიურად ანერვიულა გულშემატკივრები ბრაზილიამაც, თუმცა, კოუტინოსა და ნეიმარის ძალისხმევით, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მანინც

მოახერხა წყლიდან მშრალად ამოსვლა - 2:0. მართალია, ისვენებდა, მაგრამ გადარჩენის შანსი არგენტინასაც გამოუჩნდა, რასაც ნიგერიელ მოიერიშეთა ლიდერ მუსას მიერ ისლანდიასთან შესრულებულ დუბლს უნდა უმაღლოდეს - 2:0. სამხრეთამერიკელთა ბანაკიდან გამოუჩინილი ინფორმაციის თანახმად, მათი შერცხვნილი თავდაცვა სამაჰოლი თანამდებობაზე ფორმალურად რჩება და აფრიკელებთან გადამწყვეტი თამაშისთვის შემადგენლობას მესი და მასკერანო შეაჩრევენ.



მნიშვნელოვანი სიახლით აღინიშნა სნაიპერთა დავაში განვითარებული მოვლენებიც. ბუნებრივია, პარი კეინს ვგულისხმობთ, რომელმაც პანამას სამი ბურთი გაუტანა (6:1) და 5 გოლით ბომბარდირთა რბოლაში დაინიშნა.

და ბოლოს: ორ ტურში უგოლო ფრე ჯერაც არ „გამომცხვარა“. ჩვენც მეტი რა გვინდა.

გიორგი შოთაძე

მოკლედ



ზაფხულის ტესტები. ბოლო მატჩი. იაპონია საქართველო 2:0. იაპონია კვლავ რჩება საქართველოს უხერხულ მეტოქედ. ეს იყო ამ გუნდების მეექვსე დაპირისპირება და აზიელთა მე-5 გამარჯვება.

სანაკრებო სეზონი შემოდგომის ტესტებით განახლდება. სერბიის პირველივე მატჩში „ბორჯღალოსნები“ 10 ნომბერს იტალიას ფლორენციაში შეხვდებიან.

სუთი რგოლი



საქართველოს ოლიმპიელთა ფორუმი ჩუსთაველის თეატრში

რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ყველა დროის (1952-2018 წლები) ქართველი ოლიმპიელი შეიკრიბა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე და საერთაშორისო ოლიმპიური დღის, 23 ივნისის დაწესების 70 წლისთავი - ეს ორი მნიშვნელოვანი თარიღი აერთიანებდა ქართველ ოლიმპიელთა დიდ ფორუმს, რომელიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით ჩატარდა.

ფორუმზე მონაწილე იყვნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, სხვადასხვა თაობის ოლიმპიელები, მათი ოჯახის წევრები.

საპატიო სტუმრის სტატუსით ფორუმს დაესწრნენ საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ფორუმს ასევე ესწრებოდნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, თბილისის მერი კახი კალაძე, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, პარლამენტის წევრები, ვეტერანი და ახალგაზრდა სპორტსმენები, მოსწავლეები და სტუდენტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სპორტის გულშემატკივრები.

1952-2018 წლებში, საბჭოთა ეპოქაში და დამოუკიდებლობის პერიოდში, ზაფხულისა და ზამთრის 27 ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ჰყავდა 395 ოლიმპიელი.

ჩვენს ოლიმპიელებს სპორტის 21 სახეობაში სულ მოპოვებული აქვთ 126 ოლიმპიური მედალი, მათ შორის - 39 ოქროს მედალი.

საქართველო ამავობს თავისი სახელოვანი სპორტსმენებით, თითოეული ჩვენი ოლიმპიელი. სწორედ მათთვის პატივის მისაგებად და ჩვენი სპორტის ოლიმპიური მიღწევების წარმოსაჩენად გაიმართა სრულიად საქართველოს ოლიმპიელთა ფორუმი.

ფორუმში მალალ შინაარსობრივ და მხატვრულ დონეზე წარმოადგინა რუსთაველის თეატრის პროფესიონალთა სადადგმო ჯგუფმა.

რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას მივსალმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი.

„ჩვენ მართლაც ისტორიული მოვლენის მომსწრენი და მონაწილენი ვართ - ამდენი ოლიმპიელი, ქართული სპორტის ამდენი ვარსკვლავი ერთად, ერთ ჭერქვეშ აქამდე არასოდეს შეკრებილა, - აღნიშნა სეოკ-ის პრეზიდენტმა, - ეს დღე აუცილებლად შევა ჩვენი სპორტის ისტორიაში, როგორც ნიშანი საქართველოს ყველა დროის ოლიმპიელთა ერთობისა.

ვიდრე აქ, რუსთაველის თეატრში შევიკრიბებოდით, დღეს დილით, ყველანი ერთად, კუს ტბაზე გამართული ოლიმპიური გარბენის სტარტზე ვიდევით. ეს გარბენი ჩვენს ფორუმს და საერთაშორისო ოლიმპიურ დღეს - 23 ივნისს მიეძღვნა. თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობა, როგორც მოგვხსენებათ, იწყება სწორედ 1894 წლის 23 ივნისიდან. იმ დღეს პარიზში დაფუძნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, 2 წლისთავ-

ზე კი გაიმართა პირველი ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიური მიზეზების გამო, ჩვენ საკმაოდ გვიან შეგუერთდით ამ დიდ მოძრაობას, მაგრამ ჩვენი ოლიმპიური ისტორია არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას და საინტერესო ამბავს აერთიანებს.

ამ ათწლეულების განმავლობაში, 1952 წლიდან დღემდე საქართველომ თავისი ადგილი დაიმკვიდრა დიდ ოლიმპიურ მოძრაობაში. ქართული ოლიმპიზმის ისტორიას ქმნიდნენ თაობები - ჩვენი სპორტის თავდადებული და წარჩინებული ადამიანები.

ოლიმპიელობა თავისთავად წარმატება - მაღალი სპორტული კვალიფიკაციის მაჩვენებელი. ოლიმპიელობა, ამავე დროს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა - წარმოადგენს შენი ქვეყანა მსოფლიოს უდიდეს სპორტულ ფორუმზე, მილიარდობანი აუდიტორიის წინაშე. ოლიმპიელობა დიდი შრომის და ბრძოლის ფასად მოპოვებული ერთგვარი პრივილეგია და შესაძლებლობაა - სახელო საკუთარი თავი და შენი ქვეყანა, სისარული მოპვარო მილიონობით შენს თანამემამულეს.

ჩვენ ვიცით არაერთი შემთხვევა საქართველოს ოლიმპიელთა სპორტული გმირობისა და თავდადებისა. ჩვენ გვახსოვს ამ ადამიანების გვარ-სახელები. ჩვენ გვინდა, რომ მათ მაგალითზე იზრდებოდნენ ქართული სპორტის მომავალი თაობები. ჩვენ გვჯერა, რომ ასე იქნება!“

ფორუმზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ვიცე-პრეზიდენტი ნილს ნიგარდი, ოლიმპიელთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ალპერ კასაპოლლუ, მსოფლიო ოლიმპიელ ისტორიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი დევიდ ვალენისკი და სხვები.

„ევროპის ოლიმპიური კომიტეტების სახელით მოხარული ვარ, მონაწილეობა მივიღო ოლიმპიელთა ამ სადღესასწაულო შეხვედრაში. სასიამოვნოა, რომ დღეს დარბაზში მათთან ერთად იმყოფებიან მწვრთნელები, მსაჯები და მედიცინის მუშაკები.“

საქართველოს ოლიმპიური სპორტის დიდი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები გააჩნია, მიღწეულია არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება.

საქართველოს, მის ხალხს ვუსურვებ ნათელ მომავალს და მადლობას მოვასხენებ ქართველ ოლიმპიელებს მათი დიდი დამსახურებისთვის,“ - აღნიშნა ნილს ნიგარდმა.

ფორუმის მონაწილეებმა პატივი მიიღეს გარდაცვლილ ოლიმპიელთა სსოვნას, გაისხენეს საინტერესო ისტორიები მათი სპორტული ბიოგრაფიიდან.

ფორუმზე მიიღეს დეკლარაცია, რომლის ტექსტიც წაიკითხა საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ.

ფორუმის თითოეულ მონაწილეს გადაეცა სეოკ-ის სპეციალური საჩუქარი და ამ დღისთვის გამოცემული კრებული - „საქართველოს ოლიმპიელები“.

კაჟან დოლიძე

# „ყველაფერს გაგაკეთებთ, რომ ეს ადგილი ერთ-ერთი საუკეთესო იყოს“

დედაბაბაძის მერმა კახა კალაძემ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალისწინა და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებს გაეცნო.

თბილისის მერიის დაფინანსებით, ბოტანიკურ ბაღში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც, დაწყებული ბოტანიკური ბაღის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სკვერის რეკონსტრუქცია და ახალი ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა, რომელთა ღირებულება ჯამში 179 600 ლარია. პროექტები მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება.

სორციელება, რომელიც მთლიანად წავისის ხეობას გააყვება. ეს არის საფენავლო და ველობილიკები, რომელიც ბაღში ვიზიტორების რაოდენობას კიდევ უფრო მეტად გაზრდის. მინდა, მოვუწოდო ყველას, ჩვენს თანამოქალაქეებს, მოვიდეს და ნახოს ეს სილამაზე.



კახა კალაძის განცხადებით, ბოტანიკურ ბაღში სამუშაოები აქტიურ რეჟიმში, რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. ბაღში ასევე მოეწყობა ველობილიკები, რასაც ფონდი „ქართუ“ სრულად აფინანსებს.

ფიქრობ, რომ ყველა კმაყოფილი დარჩება. ყველაფერს გაგაკეთებთ, რომ ეს ადგილი ერთ-ერთი საუკეთესო იყოს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ორი კვირის ვადაში, ბოტანიკური ბაღის ცენტრალურ ტურისტულ მარშრუტზე დეკორატიული მოაჯირებისა და მდინარის ხეობის საყრდენი კედლის მოწყობა დასრულდება, რომლის ღირებულება 87 000 ლარს შეადგენს. ასევე, ორ კვირაში დასრულდება სოლოლაკის ხეივანისა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დამაკავ-

შირებელი კიბეების მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი, რომლისთვისაც 29 500 ლარია გამოყოფილი.

ზემოაღნიშნული პროექტების გარდა, თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ერთ-ერთი ცენტრალური მარშრუტისა და აზერბაიჯანელ მოღვაწეთა პანთეონს შორის დამაკავშირებელი გზის საფარის აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს.

ორი კვირის ვადაში ბოტანიკური ბაღის ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული კორპუსის ესკიზისა და შესაბამისი პროექტის შესყიდვის მიზნით კონკურსი, ხოლო ერთი თვის ვადაში, საერთაშორისო ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტური განვითარების გენერალური გეგმის შექმნის მიზნით ტენდერი გამოცხადდება, რომელიც ბაღის ინფრასტრუქტურის, დეკორატიული უბნებისა და მცენარეთა კოლექციების განვითარების უზრუნველსაყოფად, გრძელვადიანი სამოქმედო, კონცეპტუალური გეგმა იქნება.

ბოტანიკური ბაღის განვითარების მიზნით, წლის ბოლომდე არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელება იგეგმება, რომელთა შორის ბონსაის საგამოფენო სერვისის მოწყობაა. დედაქალაქის მერიის დაფინანსებით, ბოტანიკური ბაღის კოლექციაში ბონსაის 15-მდე ეგზემპლარი უკვე შეტანილია.

## არ იმეზავროთ ჩახუთული მიკროავტობუსებით!

### კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ საგანგებო განცხადება

ბაცნობაშტ, რომ 25 ივნისიდან კომპანიის მენეჯმენტის მიერ გაცხადებული მიკროავტობუსების კონდენციონების სისტემის ჩართვასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ რომ მიმდინარე წლის მარტიდან „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ გაგრძელების სისტემის შეკეთება-გამოცვლისთვის დახარჯულმა თანხამ 480 000 ლარი შეადგინა. კომპანია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ მგზავრების გადასაცემად საზოგადოებას ყველა მიკროავტობუსში კონდენციონირი მუშაობს და უმორჩილესად ვთხოვთ ყველა მომხმარებელს, მიკროავტობუსში გაგრძელების სისტემის ჩართვასთან დაკავშირებით სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი შეგვაცნობინოს ცხელ ხაზზე 032 2 200 340; ასევე გაცნობებთ რომ კონდენციონირების სისტემის ჩართვით მომატებულ სანავაგის ხარჯს „თბილისის მიკროავტობუსი“ ანაზღაურებს კომპანიის ბიუჯეტიდან და ყველა ის მძღოლი, რომელზეც მონიტორინგის სამსახური განსაკუთრებით ცხელ დღეებში არ დააფიქსირებს მომხმარებლის მხრიდან პრეტენზიებს, ნახალისებული იქნება კომპანიის მიერ.

## ახალი სკვერი ზღვის უბანში

ზღვის უბანში (თემა), ანაბის 414-ე დივიზიის ქ. №16-ის მიმდებარე, კერძო სამშენებლო კომპანია ახალ სკვერს მოაწყობს.

აღნიშნული ტერიტორია თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. შესაბამისად, პროექტის განსახორციელებლად, ნაძალადევის რაიონის აღმგებობასა და სამშენებლო კომპანია „რივას“ შორის მემორანდუმი გაფორმდა.

ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ზღვის უბანში, ანაბისა და ჩარგლის ქუჩების კვეთაზე საცხოვრებელ კორპუსებს აშენებს, მზადაა, დაახლოებით 200 000 ლარამდე დამატებითი ინვესტიცია განახორციელოს და ნაძალადევის რაიონში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დასახლებული სივრცე მოაწყოს. იმედი მაქვს, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება და მსგავსი ინიციატივებს სხვა სამშენებლო კომპანიებიც გამოიჩინონ“, – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელი.



პროექტის ფარგლებში, 3 200 კვ.მ ფართობზე მოეწყობა ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდება ატრაქციონები, საბაღე სკამები და დაირგება მწვანე ნარგავები.

## შსს-ის ინფორმაციით, მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციის დასაკავებლად განცხადებების მიღება იწყება.

აუცილებელი მოთხოვნაა უმაღლესი განათლება. ასევე, დღეიდან, ფუნქციონირებას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი Officer.ge, რომელიც სპეციალურად მართლწესრიგის ოფიცრებისათვის შექმნილი საკომუნიკაციო არხია. მისი მეშვეობით მოხდება მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციაზე განცხადებების მიღება.

ამასთანავე, ხსენებული ვებგვერდის გამოყენებით მოქალაქეებს შეეძლება მართლწესრიგის ოფიცრებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მიღება და მათ ტერიტორიას მიკუთვნებულ მართლწესრიგის ოფიცრებთან უშუალო კომუნიკაცია.

გარდა ამისა, იწყება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის საინფორმაციო კამპანია. მედიაში განთავსდება სარეკლამო ვიდეორგოლი, ხოლო უახლოეს კვირებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო ღია კარის დღე გაიმართება, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება, უშუალო კომუნიკაციის ფორმით, დეტალური ინფორმაცია მიიღოს მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიის, მისი ფუნქცია-მოვალეობების, სამუშაო პირობების და სხვა საკითხების შესახებ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს შინაარსობრივი და სტრუქტურული რეფორმების პროცესი, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია კრიმინალური პოლიციის რეფორმა. სწორედ კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში ხდება საუბნო მიმართულების ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც, უბნის ინსპექტორის ნაკლებფუნქციური მოდელის ნაცვლად იწერება თანამედროვე, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აპრობირებული, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი წარმოადგენს.“

# სამინისტრო მძებს „ტალანტებს“!

## კრიმინალურ პოლიციას 365 მართლწესრიგის ოფიცარი შეემატება



შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი მიზანია ტრადიციული საპოლიციო საქმიანობიდან საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო მიდგომებზე გადასვლა და რეაქტიული მიდგომის ეტაპობრივი ჩანაცვლება პროაქტიული მიდგომით. ასევე, პოლიციასთან ერთად, საზოგადოების ორიენტირება უსაფრთხოებასა და მართლწესრიგის დაცვაზე. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ორიენტირებული იქნება პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე, დანაშაულისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

უწყების ცნობით, მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში შევა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორები-

ცაა არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება.

„მის ფუნქცია-მოვალეობებში ასევე შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწორებულ დანაშაულზე რეაგირება.“

მართლწესრიგის ოფიცერი არის პოლიციელი, რომელიც ორიენტირებულია სხვა საპოლიციო დანაშაულებთან ერთად, კოორდინირებული მუშაობით იზრუნოს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, უზ-

რუნველყოს მართლწესრიგის და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მოქალაქეებს საზოგადოებრივი და სამოქალაქო პრობლემების გადაწყვეტაში.

ეს ინსტიტუტი პირველ ეტაპზე თბილისში, საბოლოო რეჟიმში დაინერგება, სადაც 365 მართლწესრიგის ოფიცერი ეტაპობრივად დაინიშნება მუშაობას.

შერჩეული კანდიდატები საკვალიფიკაციო ეტაპების წარმატებით გატარების შემდეგ შეესაბამის მომზადების კურსს გაივლიან შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რის შემდეგაც, ეტაპობრივად მოხდება მათი გადანაწილება სამოქმედო ტერიტორიების (უბნების) მიხედვით, მთელი თბილისის მასშტაბით. პერმანენტული მონიტორინგისა და შედეგების შეფასების შემდეგ, იგეგმება ინსტიტუტის შემდგომი გაფართოება ქვეყნის მასშტაბითაც.

მართლწესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა კომპლექსური საკითხია, რომელშიც არსებითია საზოგადოების ჩართულობა. შესაბამისად, მართლწესრიგის ოფიცერი იქნება ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი პოლიციასა და საზოგადოებას შორის, იმისათვის, რომ შედგეს ეფექტიანი, ინტენსიური კომუნიკაცია და ჩამოყალიბდეს მეტი ნდობა, რაც დანაშაულის პრევენციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დაწარმებით, არა მხოლოდ დანაშაულთან ბრძოლა, არამედ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული კვლევა და სწორედ ხსენებული მიზეზების გადაჭრა, რაც დანაშაულის პრევენციის აუცილებელი პირობაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, ვაკანსიების გამოცხადებით, ამ პოზიციაზე მოიხილოს ახალი კადრები, მოტივირებული, კეთილშინდისიერი ადამიანები, რომლებსაც სურთ, ემსახურონ ქვეყანას და თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვაში“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მთელი სულითა და გულით ვულოცავთ კოლეგას, უკეთესობილეს პიროვნებას ნანა მამულაშვილს პირველი შვილიშვილის

ოთო მალაფერიძის

შეცენას. ბედნიერ მშობლებს – ნინო და ნოდარ მალაფერიძეებს ვუსურვებთ პატარა ოთოს ქუდბედიანობასა და ჯანმრთელობას. ღმერთმა სასახელო ქართველი გაუზარდოს. ეს ერთი და სხვა მრავალი იხარეთ და იმრავლეთ, მალაფერიძეებო!

სიყვარულითა და პატივისცემით „საქართველოს რესპუბლიკაში“

კულოცავთ!

მრავალშვილიერ, გაბონო ლევან!

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო ინსპექციის ყოფილ უფროსს, შესანიშნავ სპეციალისტსა და დარგის გამორჩეულ პიროვნებას



ლევან ივანეს ქეჯუბს

ვულოცავთ 80 წლისთავს. პურპროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფაში თითოეულ სამსახურსა და განსაკუთრებით ლევან ჯიბუტს ლომის წილი მიუძღვით. მან, ერთადერთმა პირველმა, მაშინ, როდესაც ბევრს კრიტიკული აზრის გამოთქმისა ეშინოდა, გაბედა და საზოგადოებას დაანახა ის პრობლემები და ნაკლოვანი მხარეები, რომელიც ჩვენს დარგში სუფევდა. დღესაც ღვაწლმოსილი პიროვნება გულშემატკივრობს პურპროდუქტების სფეროში მიმდინარე პროცესებს და მნიშვნელოვან რჩევა-დარიგებებსაც გვაძლევს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის სიყვარულსა და დამოკიდებულებას ჩვენი საქმის მიმართ. მრავალშვილიერ, ბატონო ლევან!

საქართველოს პურის მრავალშვილიერ კავშირი

დათო ევგენიძე ბორჯომს სტუმრობდა

პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში ცნობილი კომპოზიტორმა და მუსიკოსმა დათო ევგენიძემ ბენდთან ერთად რეგიონებში კონცერტების სერია დაიწყო. პირველი კონცერტი ბორჯომის პარკში გაიმართა. ლონისძიებას როგორც ადგილობრივები, ასევე ბორჯომში მყოფი ტურისტები დაესწრნენ. მომდევნო კონცერტები 14 ივლისს – ახალციხეში, 4 აგვისტოს – ზუგდიდში, 11 აგვისტოს – ამბროლაურში, 18 აგვისტოს – ქობულეთში და 15 სექტემბერს თელავში გაიმართება.

სახელმწიფოს მხარდაჭერით პროექტი Check in Georgia უკვე მე-სამედ ტარდება. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი მუსიკალური და სხვა სახის შემეცნებით-გასართობი აქტივობები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება.

Check in Georgia წელს აუდიტორიას საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს – საქართველოს რამდენიმე რეგიონში კონცერტებს მართავენ: ანსამბლები: „სუსიშვილები“, „ერისიონი“ და „რუსთავი“, ასევე თბილისის სახ. კამერული ორკესტრი. პროექტის ფარგლებში იმართება საბალეტო ფესტივალი თბილისში, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი 4GB საგურამოში, მუსიკის ფესტივალი „Open Air“, „არტარეას“ ეზოს ფესტივალი და ა.შ.



აშშ-მა ჰაიიარ სოლანას ქვეყანაში უპირობო შესვლაზე უარი უთხრა



აშშ-მა უარი უთხრა ქვეყანაში შესვლაზე ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანს და ესპანეთის ყოფილ იუსტიციის მინისტრს ჰაიიარ სოლანას. იტყობინება „El Pais“ წყაროზე დაყრდნობით.

ესპანეთის მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ აშშ-ში ჩასვლა (თუკი ისინი გეგმავენ გაატარონ ქვეყანაში 90 დღე) იმ შემთხვევაში, თუკი მათ პასპორტებში არაა ისეთი ქვეყნების მონახულების სია, როგორცაა – ირანი, ერაყი, სირია, სუდანი, ლიბია, სომალი და იემენი. სოლანა ირანში იყო ნამყოფი. ასე რომ მას მოუწევს ვიზის გაფორმება.

სოლანა ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობას 1995-1999 წლებში იკავებდა. აშშ-ში ის ვაშინგტონის ბრუკინგის უნივერსიტეტში სიტყვით გამოხვლას აპირებს.

ნატო რუსული აბრევირების შემთხვევაში გალტიისპირითს დროულად ვერ დახმარება?

ამერიკელი სამხედროები ვერ მოასწრებენ რუსულ არმიას ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში შეჭრის შემთხვევაში. ასეთ დასკვნამდე მივიდა პენტაგონი, ევროპა-რუსეთის საბრძოლო დაპირისპირების სიმულაციის განხილვის შედეგად. გაზეთი The Washington Post-ის ინფორმაციით, აშშ-ის თავდაცვის უწყებამ სულ ცოტა ერთი სწავლება ამ მიმართულებით უკვე ჩაატარა. ერთ-ერთ დაბრკოლებად, გაზეთის ცნობით, ვიწრო გზები და არასათანადო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა სახელდება. საქმე ეხება ხიდებს, რომლებიც აშშ-ის ტანკების სიმძიმეს ვერ გაუძლებს. არანაკლებ დაბრკოლებას აშშ-ის სამხედროებს ევროპული ბიუროკრატია შეუქმნის. გაზეთის მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როდესაც 2017 წელს 4 თვის განმავლობაში ცდილობდა ამერიკული თავდაცვა საქართველოში წვრთნებში მონაწილე ჯავშანტექნიკის დისლოკაციის ადგილას – გერმანიაში დაბრუნებას.



ევროპაში პოლიტიკური კრიზისია!



საზრანგაბითის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მიიჩნევს, რომ ევროპა მიგრაციული პრობლემების გამო პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. მაკრონი მიიჩნევს, რომ პრობლემის გადაწყვეტისას ევროკავშირის ქვეყნებმა ერთმანეთს და ადამიანის უფლებებს პატივი უნდა სცენ. „ჩვენ ევროკავშირში გვაქვს ფასეულობები და როდესაც ამ ფასეულობებს უარყოფთ, ჩავდივართ ყველაზე უარესს. ფასეულობები – ეს არის ადამიანის უფლებები, სხვა სახელმწიფოთა პატივისცემა და სოლიდარობა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს“, – განაცხადა მაკრონი. „პოლიტიკურ კრიზისს, რომელსაც ევროპა, ევროკავშირის ქვეყნები განიცდიან, სწორედ ამ საკითხს ეხება“, – განაცხადა ბელგიაში ვიზიტის დროს მაკრონი.

იტალიელ მუსიკოსებს დავნი-ლუის გეგეზისა და ნავების გადარჩენის ოპერაციებში მონაწილეობა, მიუხედავად მიღებული სამაშველო სიგნალებისა წერს „The Independent“.

იტალიის ხელისუფლების განცხადებით, სმელთაშუა ზღვაში დევნილების გემები იძლევიან სამაშველო სიგნალებს ლიბიის ტერიტორიული წყლებიდან. შესაბამისად, მათი შველა ლიბიის პასუხისმგებლობაში შედის.

მანამდე, იტალიამ აუკრძალა მაშველებს ლტოლვილებით სავსე გემების იტალიის პორტში შესვლა, რის გამოც ზოგიერთი გემი იძულებული გახდა, ესპანეთის სანაპიროებისკენ გაეცურა. მოგვიანებით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მატეო სალვინიმ განაცხადა, რომ ლტოლვილები ვეღარ მოხვდებოდნენ ქვეყანაში ზღვის გავლით.

გარდა ამისა, იტალია დაიმუქრა, რომ შეწყვეტს შემონიშნულ გემების შეტანას ევროკავშირში, თუკი ის არ გადახედავს კონტინენტზე ლტოლვილების გადაადგილების გზების საკითხს.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA კოსტავას ქ. №21 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგუღია 299-02-10 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მახაჩიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 385001

ავტორთა სახსრადღებოდ! რედაქციის მიერ შეუქმნათავე მასალაში დანიშნავთ ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსარებაში, შესაძლოა, გუდაამ არ ეთმევიოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილეზლად გააოიფარა, იყიდა, წაიკითხა!

Table with contact information for the newspaper, including phone numbers for various departments and subscription rates.